ეროვნული ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

№ III

მარტი

წელიწადი მეოცე

1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ყურხალ „ჯეჯილისა“

I სურათი, გაზაფხულს ვუგალობებთ 2
II აღდგომა, ლექსი დადო გეგეჭკორისა 3
III მწყემსი ძაღლი (თარგმანი) 4
IV სანდრო და ზურა, ამბავი ივ. გომართელისა . . . 6
V შოშია, ლექსი შიო მდვიმელისა 14
VI საბრალო ზღვის კატა (თარგმანი) ტასოსი 16
VII ღმერთი და მეფე, ზღაპარი (სომხურით) ე. კ—ნისა . 20
VIII ბებიისეული (საალდგომო) ეკ. გაბაშვილისა . . . 23

IX ვარდი გაიფურჩქნა, დადო გეგეჭკორისა 31
X ნიკოლოოზ ვასილის ძე გოგოლი (ბიოგრაფია) ტ. ვეფხვაძესი 34
XI ძველი მებატონეები (ნაწყვეტი) თარგმანი 40
XII ჩლახუნა დათუნია, სეტონ-ტომპსონისა (თარგმანი) მ. იაშვილისა 44
XIII „კიბუნ-დეიზინ“ მოთხრობა ჯენზეი მურაისა (გაგრძელება) ალ. ნათაძესი 52
XIV ქარიშხალი, ა. სერაფიმოვიჩისა, (თარგმანი) შოთასი 61
XV ფინიკის პალმა (ინდის ხურმა) ალექსი ჭიჭინაძესი . 68
XIV წვრილმანი. აკროსტიხი, ამოცანები . . . 72

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

დაარსებულია 1890 წელს

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განეოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის ფასი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

მარტი, 1909

წელიწადი მეოცე

თფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1909

გაზაფხულს ვუგალობებთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღდგომა.



ცა კაშკაშებს, ცა ელვარებს,
ვარსკვლავებით მოქარგულა;
სთვლემს მიდამო, არე-მარე
ისევ ძილში გახვეულა!

ჩუ! გუგუნი, ისმის რეკა...
ბრწყინავს მთვარე სხივ-მფრქვეველი;
ანგელოზნი ცაში მღერენ:
„აღმსდგარაო ხალხის მხსნელი“.

ერი ხარობს, ისმის ირგვლივ
გახარება და სიცილი;
აღსდგა მკვდრეთით ის, ვისგანაც
ითრგუნვება თვით სიკვდილი!

ლიტანიობს, მხიარულებს
და ეძლევა ლხენას ყველა:
ღატაკი თუ მათხოვარი,
ობოლი თუ მარტოხელა.

ბოროტებას კიცხვენ, გმობენ,
მტრობასა და შურს მარხავენ
და ერთმანეთს ხვევნა-კოცნით
„ქრისტე აღსდგა“-ს ულოცავენ!

ვარდი ჭეშეაის, მდელო-მთები
მწვანით არის მოქარგული;
ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად, —
მოგვევლინა სიხარული!

ლადო გეგეჭკორი.

საქართველოს
საქართველოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყემსი ძაღლი.

რთხელ სოფლის მემამულე წავიდა თავის მინდორში საქონლის დასათვალიერებლათ, თან წაიყვანა ყურშა. თურმე ღობე გადატეხილიყო და მეზობლის საქონელი ამის საქონელში გარეულიყო. მემამულემ ყურშას შემწეობით სხვისი საქონელი გალალა და ღობეც გააკეთა.

მეორე დღეს მემამულე გავიდა ისევ თავის საქონლის დასათვალიერებლათ. ძაღლი თან არ წაიყვანა, რადგან ვერ იპოვა. როდესაც ის მივიდა მინდორში ყურშა გადამტვრეულ ღობეზე მწოლარე დაინახა. ის გულმოდგინეთ ღობიდან საქონელს ლალამდა. უთუოდ მეზობლის საქონელს ხელახლად გადაემტვრია ღობე, შემოსულიყო და ამ მემამულის საქონელში არეულიყო.

ყურშა თავის თავად წასულიყო მინდვრის დასათვალიერებლათ. როდესაც ენახა უწესობა—გაედევნა სხვისი საქონელი და გადანგრეულ ღობეს უდარაჯებდა.

თარგმანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო და ზურა.

— აჭა ათი შაური და აბაზის ბური მომეცი!—დაიძახა სანდრომ, როდესაც ის და იმისი უმცროსი ძმა ზურა მებურის დუქანში შევიდენ.

ლოგინზე წამოწოლილი იყო მოხუცებული კაცი, რომელიც ხმის გაგონებაზე შეიშმუშნა, წამოჯდა და აქეთ-იქით დაიწყო ხელების ფოთიალი.

— კირილე, კირილე!—დაუწყო ვიღაცას მახილი მოხუცებულმა, მაგრამ დუქანში სხვა არავინ იყო, სანდროსა და ზურას გარდა.

— აქ არავინ არ არის ჩვენს მეტი,—წარმოსთქვა სანდრომ.

— მე წამთვლიმა და ის სადღაც წასულა! მოუცადეთ და მალე მოვა.—მიმართა უმაწვილებს მოხუცებულმა.

— იმას სად ვუცადოთ! შენ მოგვეცი ბური!—მიუგო სანდრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თვალით ველარას ვხედავ. აი ამ უჯრაში უნდა იყოს ფული! — წარმოსთქვა მოხუცებულმა და ხელის ფაცურით მივიდა ჰირდაჰირ მაგიდასთან, გამოსწია უჯრა და ამოიღო თუნუქის კოლოფი, რომელშიაც სჰილენძისა და ვერცხლის ფული ეყარა.

— აი აქ ჩააგდეთ ათი შაური და ექვსი შაური ამოიღეთ! აბაზში ოთხი დიდი ჰური გერგებათ, მადერ აარჩიეთ და წაიღეთ! — განაგრძო მოხუცმა.

სანდროს სახე გაუბრწყინდა.

— შენ ხმა არ ამოიღო! — წასჩურჩულა მან ზურას. მივიდა მოხუცებულთან და ჩააგდო ფულიან კოლოფში ვერცხლის ათ შაურიანი.

— აი ათ შაურიანი! — წარმოსთქვა სანდრომ და მაშინათვე ამოიღო კოლოფიდან ისევ თავისი ათ შაურიანი და თან ამოაყოლა ორი სხვა ათ შაურიანი.

— ესეც ექვსი შაური! — დაუმატა სანდრომ და გამოტრიალდა უკან.

— ეგ რა ჰქენი, სანდრო? — დაეკითხა გაკვირვებული ზურა.

— გაჩუმდი, თორემ ამას ხომ ჰხედავ? — აჩვენა მუშტი სანდრომ; აარჩია ოთხი ჰური, გაასვია ხელსახოცში და გამოსწიეს სახლისაკენ.

მოხუცებულმა თუნუქის კოლოფი ისევ მაგიდის უჯრაში ჩადვა, გამოტრიალდა ლოგინისაკენ და წამოწვა სრული დარწმუნებული, რომ თავისი შვილის დუქანს ერთი აბაზი შეჰმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედას არაფერი არ უთხრა, იცოდე, თორემ ცხვირს ამოგინაყავ,—მიმართა გზაზე სანდრომ თავის მმას.

— არაფერსაც არ ვეტყვი!—წაილაპარაკა ზურამ, რომელსაც სანდროს მუშტები დაცდილი ჰქონდა.

— ეს ფული უნდა დავახურდავოთ, რომ დედას ეძვსი შაური მივცეთ!—წარმოსთქვა სანდრომ და შეეიდა იქვე დუქანში, საცა შაურის შაქრის ყინული იყიდა.

— აი შენ სამი შაური და მერე კიდევ მოგცემ!—გაუწოდა სანდრომ ზურას ფული.

— არ მინდა,—მიუგო ზურამ.

— რატომ არ გინდა? კამფეტი იყიდე, ან ყურძენი!—უპასუხა სანდრომ.

— როცა მინდა, დედაც მიყიდის,—წარმოსთქვა ზურამ.

— დედას უნდა სთხოვო და ამითი კი, როცა გინდა, მაშინ იყიდი!—არ ეშვებოდა სანდრო.

— არ მინდა, არა, შენა გქონდეს!—ჩაილაპარაკა ზურამ.

— ჩემ ფეხებს თუ არ გინდა!—წამოიძახა სანდრომ,—ათ შაურიანი რომ მოგართვა, მაშინ ხომ კარგათ ჩაიჯიბამ?

— სულაც რომ მომცე, მაინც არ მინდა,—უპასუხა ზურამ.

— შენ კი, თუ კრინტი დაგიძრავს, იცოდე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემით დაგასიეებ,—უთხრა სანდრომ ზურას, როცა ისინი ეზოში შევიდენ.

ზურას პასუხი არ გაუცია.

*
* *

როდესაც ზურამ გაიხადა და ქვეშაგებში ჩაწვა, მას დიდხანს ძილი არ ეკარებოდა. მუტად გრძნობიერი ბავში იყო. ყველამ დაიძინა, სანდრომ ხვრინვა გაბა. ზურას კი არ ეძინებოდა. მას ბრძა, მოხუცი მეპურის სახე უდგა თვალწინ და მოსვენებას არ აძლევდა.

—რათ მომატეუე, ბრძა მოხუცი, რისთვის მომპარე ფული?—ეუბნებოდა ზურას მოხუცის აჩრდილი.

—მე ხომ არა მომიპარავს რა შენთვის?—გულშივე აძლევდა პასუხს ზურა.

—შენი ძმა რომ მპარავდა, რატომ შენ არ გაგაჩერე?—ესაყვედურებოდა მოხუცის აჩრდილი.—რატომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი არ დაუძახე: ნუ სჩადიხარ მაგას, ნუ ჭეშარავ ბრძა მოხუცსო?

— ის ჩემზე ღონიერია და, რომ დამეძახა, მცემდა! — იძართლებდა ზურა თავს მოხუცის აჩრდილის წინაშე.

— აჰაი, ზურა, ზურა! როცა ბოროტებასა და ცუდკაცობასა ჭხედავ, არაფრისა არ უნდა შეგეშინდეს და აშკარათ გაჭკიცხო! — იმეორებდა მოხუცის აჩრდილი.

ზურამ რაღაც გამოურკვეველი ტკივილი იგრძნო შიგნით თავის არსებაში და ის სირცხვილმა დასწვა. რას არ იზამდა ის, რომ ეს შემთხვევა როგორმე ამოეშალა თავისი ცხოვრებიდან და მისი მოგონება სრულებით დაევიწყებია. მაგრამ რაც უფრო ცდილობდა ზურა, დაევიწყებია ეს შემთხვევა და ძილისთვის მიეცა თავი, მოხუცის აჩრდილი მით უფრო დაჟინებით უსაყვედურებდა:

— ზურა, ზურა! არა გრცხვენია? რათ მომატყუე, რათ გამქურდე ბრძა მოხუცი?

ზურას რცხვენოდა და საბანში ღრმათ ჭეოფდა თავს, მაგრამ მოხუცი მეტურე თავისი საყვედურით მას გონებიდან არა შორდებოდა.

*
* *

გადიოდენ დღეები და მოხუცი მეტურე ზურას მაინც მოსვენებას არ აძლევდა. ბევრს ეცადა, დაევიწყებია როგორმე ეს შემთხვევა, მაგრამ ვერ შესძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში, სასწავლებელში, გაკვეთილების მზადების დროს, სადილზე სულ ბრძა მოხუცი უდგა თვალწინ. ზურა თავს იმართლებდა თავის თვალში: მე ხომ არაფერი ჩამიდენია ცუდი, ჩემმა ძმამ ჩაიდინა და მე არაფერიც არ გამომირთმევია იმისთვისო, მაგრამ თვისივე გულიდან თითქოს ვიღაცა ამოსძახებდა ხოლმე: არა, ზურა, შენც დამნაშავე ხარ, რადგანაც დაჭფარე შენი ძმის საქციელიო.

ზურამ გადასწყვიტა, როგორმე ეშონა ფული, მიეტანა მეპურისათვის და ეთქვა: აი ეს ჩემმა ძმამ მოგპარა და მე მოგიტანეო. მან დაინახა, რომ სანდრომ სამი ათ შაურიანი ამოიღო, აბაზიც ჰურის ფასი იყო, ამდენი ფული კი სად ეშონა ზურას, თუ არავინ მისცემდა.

ზურას რამოდენიმე ძველი წიგნები ჰქონდა, რომლებიც იმისათვის საჭირო აღარ იყვენ. წაიღო ძველი წიგნების გამყიდველთან, მაგრამ მხოლოთ ექვსი შაური შეაძლიეს. ზურა დაღონებული დაბრუნდა სახლში თავისი ძველი წიგნებით და არ იცოდა, რა ექნა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ზურამ გადასწყვიტა, დედისათვის ეთქვა ყოველისფერი და ფული ეთხოვა.

მერე სანდრო ხომ მცემსო,—გაუქლვა ზურას ფიქრმა. რაც უნდა, ის მიქნას, მე დამალვა აღარ შემიძლიაო, უთხრა თავის თავს ზურამ.

* * *

ნასადილევს, როდესაც ზურას დედა, ძაკრინე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკერავსა ჰკერავდა, ზურა ჩამოეკიდა მას კისერზე და დაუწყო კოცნა. დედამაც რამდენჯერმე აკოცა. ზურა მაინც არა სცხრებოდა, თქმა ვერაფრისა გაებედნა და მხოლოთ ხშირს კოცნაში ჰხატავდა თავის სულიერ მდგომარეობას.

— შე ეშმაკო, შენა, შენ იმგვარათა მკოცნი, რომ რადაცა გაქვს სათხოვარი,—მიმართა მაკრინემ ზურას.

— დედა, უნდა გითხრა რამე და ხომ არ გამიწყრები?—დაეკითხა ზურა ცოტა გათაკამებული.

— რათ გაგიწყრები, შვილო! რაც გინდა, ოოველისფერი უნდა მითხრა.

— გეტყვი დედა, მაგრამ სანდროს კი არაფერი უთხრა, თორემ მცემს,—შეეხვეწა ზურა.

— მაგის ჰირობას ვერ მოგცემ. იქნება ისეთი რამ არის, რომ სანდრომაც უნდა გაიგოს. ხოლო მე ჰირობას გაძლევ, რომ სანდრო ცემას ვერ გაგიბედავს,—უთხრა დედამ.

— იცი, დედა, შენ რომ ამას წინეთ ჰურის საყიდლათ გაგვაგზავნე მე და სანდრო: ერთი აბაზის ჰური იყიდეთო, და ათშაურიანი რომ გაგვატანე,—დაიწყო ზურამ,—მეჰურესთან რომ მივედით, იქ არავინ არ იყო ერთი ბრმა მოხუცებულის მეტი. იმან ფულის კოლოფი ამოიღო და სანდროს უთხრა: აი აქ ჩადეგი ფული და ნაშალი ამოიღეო. სანდრომ ჩაადგო ათშაურიანი და ექვსი შაურის მაგიერ სამი ათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაურიანი ამოიღო. მე ვუთხარი, რასა შვრები მეთქი, მაგრამ სანდრო დამემუქრა: ცემით გაგასივებო, და ხმა ველარ ამოვიღე. დედა, შენი ჭირიმე, მომეცი ფული, რომ მეპურეს მივუტანო!—დაბოლოვა ზურამ და დაუწყო დედას კოცნა.

— შენი მადლობელი ვარ, შვილო, რომ მითხარი,—წარმოსთქვა მაკრინემ და დაუწყო ზურას კოცნა. მართალია, ცუდკაცობა სანდროს ჩაუდენია და არა შენ, მაგრამ დამალვაც იგივე ცუდკაცობაა. ფული შენ კი არა, სანდრომ უნდა მიუტანოს მეპურეს და ბოდიშიც მოიხადოს.

— სანდრო, სანდრო!—გააღო მაკრინემ კარი და დაუწყო სანდროს ძახილი.

— რა გინდა, დედა?—მოისმა სანდროს ხმა და რამდენიმე წუთში ის ოთახში გაჩნდა.

— სანდრო! მეპურე იყო აქ და მითხრა: შენმა შვილებმა ფული მომპარესო. შენ მოიპარე, თუ ზურამ?—მიმართა სანდროს მაკრინემ.

სანდრო შეკრთა, ფერი ეცვალა, ზურას გადახედა და თავჩაღუნულმა წარმოსთქვა:

— მე არაფერიც არ მომიპარავს მეპურისათვის.

— მე დანამდვილებით ვიცი, რომ თქვენ ორში ერთმა მოიპარა ერთი მანეთი და აბაზიც პურში არ მისცა. ვინ ჩაუგდო ფული კოლოფში მეპურეს, შენ თუ ზურამ?—დაეკითხა დედა სანდროს.

— მე ჩავუგდე,—უპასუხა მორცხვათ სანდრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშასადამე, ფულიც შენ მოგიპარავს!—უპასუხა დედამ.

— მე არ მომიპარავს,—არა ტყდებოდა სანდრო.

— ფული ხომ შენ ჩაგდე?—დაეკითხა დედა.

— მე ჩავაგდე,—უპასუხა სანდრომ.

— ზურა გვერდში გიდგა?—დაეკითხა დედა.

— უკან იდგა,—მიუგო სანდრომ.

— სად იდექი, ზურა?—დაეკითხა მაკრინე ზურას.

— მე ბურებთან ვიდექი და სანდრო კი შიგნით იდგა,—მიუგო ზურამ.

— მართალს ამბობს ზურა, სანდრო?—დაეკითხა დედა სანდროს.

— მართალს ამბობს,—უპასუხა სანდრომ.

— მე მეტი არაფერი არ მინდა. ახლა მე ვიცი, ვინც არის თქვენ ორში ქურდი,—წარმოსთქვა დედამ, წამოდგა და მოსასხმელი მოისხა.

— დაიხურე ქუდი,—მიმართა მან სანდროს,—აი ექვსი აბაზი,—გაუწოდა ფული,—წამოდი მეპურესთან, მიეცი ეს ფული იმ ბრ[illegible]ს და ასე უთხარი:

— შეეცდი, ეს ფული კოლოფიდან მოგპარე და მაპატიეე-თქო.

მაკრინემ მოჭიდა სანდროს ხელი და გავიდენ გარეთ.

ზურამ თავისუფლათ ამოისუნთქა, თითქოს ერთი დიდი ლოდი მოშორებოდეს გულიდან.

ივ. გომართელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოშია.

რად მოფრენილხარ შოშიავ,
შენ ესე ადრიანათა?
—რა ვქნა, ვერ ვძლებდი, სულ მუდამ
ვიუავი დარდიანათა;
გული და სული, სურვილი
სულ აქეთ მეზიდებოდენ,
სამივე ერთად ტოკავდენ,
ქერქში აღარა დგებოდენ.
ვიცოდი ზამთრის ნაწუვეტი
აქ კიდევ დამიხვდებოდა,
შემაწუხებდა შიმშილი
და კიდეც შემცივდებოდა.
მაგრამ მივენდე იღბალსა,
არ შეუშინდი ზამთარსა
და მოვატანე კიდევაც
ჩემი სამშობლოს მთაბარსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცა მღალატობს იმედი,
ფრთებსა შლის ჩემი გუნება;
თვალთ იფშვნეტს ნამძინარევსა
ილვიძებს, დგება ბუნება.
მოსჩქეფენ ნაკადულები,
მორბიან, მოიმღერიან,
ამსხვრევენ ეინულთ ბორკილსა,
ველთა სიმწვანეს ელიან.
მეც ვეგებები გაზაფხულს
ფრთების ქნევით და სტვენითა,
ულოცავ დიდს და ჰატარას
მის მოსვლას ტკბილის ენითა.
რა ვქნა, ვერ ვძლებდი შორს ქვეუნად,
გული სულ არა დგებოდა,
იქ მუდამ დარდში მეოფელსა
აქ შვება მელოდებოდა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბრალო ზღვის კატა.

ახალმწიფო ნორვეგია მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში. ამ სახელმწიფოს წელების კიდეები მეთევზეებით არიან დასახლებულნი. ეს მეთევზეები იჭერენ თევზებს და ზღვის სხვა და სხვა ცხოველებს; სხვათა შორის, ზღვის კატებსაც (სელაპი). ეს ცხოველი უკანა ფეხებს ისე მოიმართავს ხოლმე, თითქოს კუდიაო, წინა ფეხებით კი მიწაზე მიცოცავს. წელის ბირას უეკარს გაწოლა და მზეზე თბობა. მის ხორცს სჭამენ და ტყავიდან ქურქებს იკერავენ.

ერთხელ მეთევზემ დაიჭირა ზღვის კატა (სელაპი) და მიათრია სახლში. ამ მეთევზეს ოთხი შვილი ჰყავდა: უფროსი ვაჟი შვიდი წლისა იყო, მეორე— ხუთი წლისა; ერთი ბატარა ქალი ოთხისა იყო, მეოთხე სულ ბატარა ქალი ორი წლისა იქნებოდა.

დედა ავათ იყო და საავათმყოფოში იწვა. სახლში, უმაწვილებთან მამის გარდა, ერთი მოხუცი გადია იყო. უმაწვილებს ძალიან გაეხარდათ სელაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაინახეს. ესენი ისე შეეჩვიენენ და დაუმეგობრდენ ამ სელაპს, რომ ხელზე აჭმევდენ. სელაპი უმაწვილებს ეთამაშებოდა, ხელებს ულოკავდა, მისი მოძრაობა სწორეთ სასაცილო იყო, გულაღმა რო დაწვებოდა, ნახევარი მუცელი ქვეშ მოჰყვებოდა. როცა უმაწვილები დაუპირებდენ სასეირნოთ წასვლას, სელაპი თითქოს რაღასაც ეუბნებოდა, თან თავისი ლურჯი თვალებით მათ აცილებდა.

— დახეთ, დახეთ, გვთხოვს რომ მალე დავბრუნდეთ. ამბობდა უფროსი ვაჟი და უმაწვილები შორიდან თავს უკრავდენ.

როდესაც მეთევზე წავიდოდა თევზის დასაჭერათ, სელაპი მისი ნავის გვერდით მიცურავდა, აუარება თევზს იჭერდა და აწვდენდა თავის პატრონს. ასეთი ჭკვიანი იყო ეს ზღვის კატა.

დიდხანს ასე მშვიდობიანათ იცხოვრებდა მეთევზეს ოჯახი, რომ ნორვეგიაში არა ეოფილიყო მეთევზეებთა შორის ისეთი თქმულობა, ვითომ ვის ოჯახშიაც იცხოვრებს სელაპი, უსათუოდ იქ უბედურება დატრიალდება, ან ვინმე გახდება მძიმეთ ავად, ან ცეცხლი გაჩნდება. ერთი სიტყვით იმ ოჯახს ხეირი არ დაეურება.

ბებერი გადია მუდამ მეთევზეს ეჩიჩინებოდა,—უნდა მოჭკლა ზღვის კატა, თორემ ხიფათს გადავეკიდებითო.

სწორეთ ამ დროს მეთევზეს სულ პატარა გოგონა გაცივდა და ავათ გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ გეუბნებოდით, რომ ზღვის კატა ხეირს არ დაგვაყრის,—გაიძახოდა სულელი გადია და მოსვენებას არ აძლევდა მეთევზეს. იმანაც ერთხელ სელაპი ნავში ჩაისვა, შორს გაიყვანა ზღვაში და იქ გადისროლა.

დასეთ მეთევზეს განცვიფრება, როცა შინ დაბრუნდა და სელაპი სახლში დაუხვდა. ის მოსჯდომოდა ავათმყოფის საწოლსა.

მეთევზემ თავის დაუდევრობით ბავში ექიმს არ უჩვენა და რაც მოხვდებოდა ხელში—იმას აჯმევდა. ემაწვილი უარესად ავად შეიქნა.

— თუ მაგ ზღვის კატას არ მოჭკლავთ,—დაიჟინა გადიამ,—ბავში უსათუოდ მოგიკვდებათ.

მეთევზეს შეეშინდა. თუმცა სელაპი ძალიან ენანებოდა, მაგრამ გადასწყვიტა: თავიდამ უნდა მოვიშორო. განიძრახა წაეყვანა შორს ზღვაში, საბრალოსთვის თვალები დაეთხარა და ისე გადაეგდო ზღვაში, რომ ამათკენ ველარ გაეგნო გზა. ასეც მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა მეთევზე. დაბრუნდა სახლში და რომ იქ არ დაუხვდა სელაპი ძალიან გაეხარდა. მაგრამ ეშაწვილი უფრო ავად გახდა, ისე რომ მეთევზე საჩქაროთ გა-იქცა ექიმის მოსაყვანათ. ექიმმა უწამლა და მალე ბავში სულ კარგათ გახდა.

ერთხელ შუა ღამე გადასული იყო, ყველას ეძი-ნა, უცბათ გარედან მოისმა საცოდავი კნავილი, თითქოს ადამიანი ტირისო. მეთევზე გავიდა გარეთ და საშინლათ შეკრთა, როდესაც დაინახა თვალებ ამოთხრილი სელაპი. მან საჩქაროთ მიაჯახა კარები. საბრალო დილამდის იქ იწვა. დილით ნახეს მკვდარი. ეშაწვილებმა მორთეს ტირილი, მეთევზე მწარეთ სწუხ-და, რომ ასე სასტიკათ მოექცა ამ ჰირუტევს, რო-მელსაც ისე ძრიელ უყვარდა ესეც და ამისი შვილე-ბიც. მეთევზე საშინლათ ნანობდა, რომ სულელურ ამბებს დაუჯერა, მაგრამ გვიანლა იყო, რაღას უშველიდა.

ტასო.

(თარგმანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთი და მეფე.

(ხარ-დოსისა)

ერველ დროში ცხოვრობდა ერთი გულ-კეთილი მეფე. იმას ჩვეულებათ ჰქონდა, უბრალო კაცის ტანისაძოსით ეოველ საღამოს ქალაქის ქუჩების შემოვლა, რომ თავისი თვალით ენახა, თუ როგორ ცხოვრობდა იმისი ხალხი.

ერთ საღამოს ქალაქის ძიგდებულ უბანში, გავლის დროს, დაინახა ერთი საწყალი კაცი, რომელიც თავის ქოხის კარებში დაჩოქილი ლოცულობდა და ამბობდა:

— უფალო ღმერთო, მომეცი ასი ოქრო! უფალო, მომეცი ასი ოქრო!

მეფემ გაიგონა და გაიარა. ცოტა რომ გასცილდა, დაინახა ახლა სხვა საწყალი კაცი. ისიც დაჩოქილიეო თავის ქოხის წინ და ლოცულობდა დაბალის ხმით:

— უფალო მეფევ, მომეცი ასი ოქრო! უფალო მეფევ, მომეცი ასი ოქრო!

მეფემ ამისი სიტყვებიც გაიგონა და გაიარა.

,,ის პირველი საწყალი, რომელიც ღმერთის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს ახსენებდა, სულელი კაცი უნდა იყოს,—სთქვა მან თავის გულში,—რადგანაც ღმერთს ფული ვინ მისცა, რომ მაგ სულელს მისცეს? მეორე საწყალი კი, რომელიც მეფის სახელს ახსენებდა, ჭკვიანი უნდა იყოს, რადგანაც იცის, რომ მეფეს ყველაზე მეტი ფული აქვს და შეუძლიან ღარიბს მისცეს".

მეორე დღეს მეფემ უბრძანა თავის მხლებელებს ერთ დიდ სინზე ასი ოქრო დაედოთ, ოქრო ზემოდამ ფლავით დაეფარათ და გაეგზავნათ იმ საწყლისთვის, რომელიც მეფეს თხოვდა ას ოქროს.

„მეორეს, სულელს, დაე ღმერთმა მისცეს"—გაიფიქრა მეფემ დაცინვით.

მეფის ბრძანება ასრულდა: ასი ოქრო ფლავით ზევიდან დაფარებული, სინით წაუღეს და დაუდგეს წინ მეფის სახელის მხსენებელ საწყალს.

—მეფემ გამოგიგზავნა, მიირთვი,—უთხრეს მეფის მხლებელებმა და დაბრუნდენ.

იმავე საღამოზე მეფე ხელახლათ გამოვიდა სასახლიდან, რომ ენახა, თუ ახლა რას იტეოდა ის საწყალი, რომელსაც ასი ოქრო გაუგზავნა.

საწყალი კვლავ დაჩოქილი იყო თავის ქოხის წინ და ისევ იმ სიტყვებს იმეორებდა:

—უფალო მეფევ, მომეცი ასი ოქრო! უფალო მეფევ, მომეცი ასი ოქრო.

მეფემ რომ ეს გაიგო, ძრიელ გაუკვირდა.

მიუახლოვდა საწყალს და ჰკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ კაცო, მეფისაგან დღეს შენთვის ფლაკი არ მოიტანეს?

— მოიტანეს, მადლობელი ვარ.

— ჭამე?

— ვჭამე.

— შიგ რა იყო?

— ნუში და ქიშმიში.

— სხვა?

— შემწვარი ბატკნის ხორცი.

— სხვა არაფერი?

— სხვა რალა უნდა ყოფილიყო.

— სულ სჭამე?

— არა, ბევრი იყო.

— დანარჩენი რა უყავ?

— ერთი საწყალი მეზობელი მყავს, ჩემსავით საწყალი და მშიერი; იმას მივეცი, რომ ეჭამა და გამაძღარიყო.

მეფემ თითზე იკბინა და მოშორდა.

როდესაც მიუახლოვდა მეორე საწყლის კარებს, დაინახა, რომ ის გუშინდელივით დახოქილიყო და ასე ლოცულობდა:

— უფალო ღმერთო, მადლობელი ვარ, რომ შეისმინე ჩემი ლოცვა და ასი ოქრო მომეცი.

მეფემ ეს რომ გაიგო, გაჩუმდა და მოშორდა.

ის დარწმუნდა, რომ ჭკვიანი ეს საწყალი ყოფილა, რომელიც ღმერთს სთხოვდა და არა მეფეს.

ყ. კ—ნის.

(სომხურით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებიისეული.

(საღდგომო ამბავი)



ელოს დედა წვრილშვილი იყო, ბავშვების მოყლას ვერ ასდიოდა, იმისი დედა თეკლე კი ძარტოთ-ძარტო სცხოვრებდა სოფელში.

— მოდი, მელო მე მომეცი აღსაზრდელად,—უთხრა თეკლემ თავის ქალს,—სოფელში უფრო გალაღდება და მეც მაგის მოვლას გულს გადავაყოლებ.

— ძრიელ კარგი, დედაჩემო,—სიხარულით მიუგო ქალმა მაკრინეს,—ბავშვი, ცოტა არ იყოს, სისხლ-ნაკლებია და სოფელში მართლა რომ გალაღდება.

ექვსი წლის მელო გულში ჩაეკრა თავის საყვარელ ბებიას და სოფლისკენ გასწია. ამ დღიდან მელოს ბებიისეული დაერქვა. ზაფხულობით, როცა დედ-მამა, და-ძმანი ეწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოდნენ სოფელს, მელო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ზამთარში კი, ათასში ერთხელ, ისიც ეწვეოდა ხოლმე ქალაქში მცხოვრებ ნათესავებს.

წელს მელო რვა წლისა შესრულდა და ბებიამ ქალაქში სამუდამოთ ჩაიყვანა, სასწავლებელში მიაბარა და თითონ ისევ სოფელში წავიდა.

საშობაოთ დიდი ზამთრის გამო ბებიამ ქალაქში ჩამოსვლა ვერ გაბედა, ხილი და სხვა სოფლური საჩუქრები კი ბევრი გამოუგზავნა, როგორც თავის ბებიისეულს—მელანიას, ისე სხვა შვილი-შვილებს.

„საღდგომოთ, იმედი მაქვს, გნახავთ,—სწერდა მაკრინე შვილი-შვილებს,—და ჩემ მელუას ცოტა სნობით კიდევ მოგტაცებთ. მარტო ვარ, მარტო და მაგის ლუკლუკს ვსაჭიროებ“.

აი დიდმარხვა მიიწურა, სკოლებიდან შეგირდები დაითხოვეს. ბებია მაკრინეც ქალაქია, დიდ-ხუთშაბათს ზიარებას აპირებს.

ბებიისეული სულ გვერდში უზის, თვალებში უყურებს. სოფლის ამბავს ჰკითხავს, იქაურ ტოლ-ამხანაგს იგონებს.

* * *

—შვილო მელო, მე ხვალ დილით სოფელში უნდა წავიდე. შენ რას იტყვი? წამოხვალ ჩემთან, თუ აქ შენ დედ-მამასთან, და-ძმასთან დარჩები?—უთხრა ბებიამ შვილიშვილს წითელ ჰარასკევ საღამოს.

—მე შენთანაც მინდა და ჩვენებთანაც! ნურც შენ წახვალ, სუყველანი ერთად ვიყვნეთ,—კაბის კალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის წეწით და თავჩაღუნულმა მიუგო მელომ ბებიას.

— არა, შვილო, მე ვერ დავრჩები, სოფელში მიმელიან. მაშ შენ აქ დარჩი. ქალაქი დიდია, მდიდარი, მორთული, მოკაზმული, ათასი დროს გასატარებელია აქ ბავშვებისთვის. შენც გაერთე, იმხიარულე! მე კი წავალ მარტო და სოფლელ ბავშვებს ცოტაოდენ სიმხიარულეს მიუტანო,—ცოტაოდენის საუვედურით უთხრა ბებიამ შვილიშვილს:

— რას მიუტანო, ბებიაჯან? სიმხიარულის მიტანა როგორ შეიძლება?—ცნობის მოუვარეობით შეეკითხა მელო.

— რას მივუტანო? კაკებს, ცოტაოდენ საალდგომო ზიზიებს, ტკბილ სიტყვას, ალერსს, სიყვარულს, აქაურ ამბებს და იქაურ ყველაფერს ძოკლებულ ბავშვებს ამეებითაც დიდათ გავახარებ.

— რა ჟივილ-ხივილი შეუდგებათ ბესოს, ვასოს, გიგოს, ნატოს, ნუშოს, თაფლოს, როდესაც ამ შენ მიტანილ შაქრის კვერცხებს დაინახავენ!—შეჰყვირა მელომ.—რა რიგ დაბზრიალდება ჰატარა მარო შენ შეკერილ წითელ კაბაში! გაიანეს, გოგიას რაღა მისცემ, ბებილო?

— გაიანეს, შვილო, ჭრელი შალი უყიდე, გოგიას მამიშენის გამოხანცვალი ჰალტო დაუთბობს ბებერ მცივანა გვერდებს.

— ხა, ხა, ხა!—გულიანად გადიხარხარა მელომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა წარმოიდგინა ბებერი, მოკუნტული მებაღე გოგია თავისი ახოვანი მამის ბალტოში გახვეული.—მამას თბილი ქუდიცა აქვს, აღარც იმას იხურავს, მოდი ისიც წაუღე გოგიას.

— წაუღო? რატო არ წაუღოთ მე და შენ? მაშ ბებიამ მარტო გაიხაროს ჩვენი სოფლელების სიხარულით? ბებიისეული კი უღალატებს, ქალაქის დროს გატარებას არჩევს? მე კი მეგონა, რომ ჩემი გოგონა თავის ამხანაგებს ბუნდოვან სურათებს უჩვენებდა, სურათების შინაარსს უამბობდა. მე ფარანიც ვითხოვე, სურათებიც მოვამზადე; სწორედ ის სურათები, რომელიც იმ დღეს სკოლაში გიჩვენეს და რომლის ამბავს შენ დაიძმას ისე კარგად უამბობდი.

— ფარანიც, სურათებიც! ოჰ, ოჰ! ბებიაჯან, რა კარგი იქნება, რა კარგი! რა რიგ გაიხარებენ ჩვენი მეზობლის შვილები, როდესაც გაჩაღებულ სურათზედ, თითქო ცოცხლებს, დაინახავენ იესო ქრისტეს, რომელიც ბავშვებს ტკბილის, ტკბილის ღიმილით თავზე ხელებს ადებს, ლოცავს, არიგებს... რა მშვენიერია ქრისტე, გრძელ წაბლის ფერ თმებ გაშლილი, თეთრ სამოსლით შემოსილი!

— გაიხარებენ მაშ! და შენ კი არ გინდა ეს სიხარული მიუტანო იმათ, ერთი ბატარა ნაწილი იმ დიდი სიხარულისა, რომელიც შენ ამ დიდ ქალაქში ბევრჯელ გინახავს და შეგიძლიან შემდეგშიაც ბევრჯელ ნახო. შენ მარტო ზაფხულობით გიყვარან ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, როდესაც თავს გახვევიან, გართობენ, გაცინებენ, გეთამაშებიან.

— არა, ბებია, არა ღმერთმანი, მე ისინი ეოველთვის მიყვარან, მაგრამ...

— მაშ წამოდი, წავიდეთ. მეც მარტოკა ნუ გამიშვებ. განა შენ ბებიასეული არა ხარ?

— ბებიასეული ვარ, ბებიასეული!—შეჰკივლა მელომ და დიდი-დედის გულში ჩეეკრა.

*
* *

სოფლის ჰირას დიდი, ძველებური ქვითკირის სახლი სდგას. ის ძთლად დამალულია ახოვანი ხეებით, რომელნიც გარს შემორტყმიან ამ ბებრუცუნას და ეოველის კუთხიდან შესტრფიალებენ. ხეები თუმცა ჯერ გაფოთლილი არ არიან, მაგრამ სამაგიეროთ ათასის ფერის ეფავილებით შემოსილან და უმანკო ჰატარძალივით გაზაფხულის მზეზედ თბებიან, იღიმებიან.

ძველი სახლის კარმიდამო მწვანე ხავერდის მგზავსის მოკლე მოლით არის გადაკრული. იქვე მიიკლაკნება და ამშვენებს არე-მარეს ჰატარა ამღვრეული რუ და თავისის ღულუნ-ჩუხჩუხით ათას ფერინ-ველთა ჟრიამულს ბანს ეუბნება.

ძველი სახლის განიერ ძველ აივანზედაც მხიარული ჟივილ-სივილია. ოცდა ათამდე სოფლის ბავშვი, საადგომოთ მორთული და მოკაზმული, შუა აივან'ზედ გაშლილ სუფრაზედ საუზმეს შეექცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰატარა მელო თავმომწონეთ დიასახლისობს. ქალაქიდან მოტანილ ლორს, მეხვს, თევზის ნაჭრებს, ჰასკას სუეველას სთავაზობს. აი ბებერძა გაიანემაც დიდი ბლუდით ცხელ-ცხელი, წითლათ დაბრაწული, საადგომო ბატკანი შემოაძუნძულა, შუა სუფრაზედ დადგა და მერე თავისი ლამაზი შალი კეკლუცად გაისწორა, ღიმილით გადაათვალიერა და ბავშურად კმაყოფილებით ჩაიცინა:

— ახალი შალი, რა რიგ მიხარიან! ჩემი ძველი შალი მთლად გახუნდა, გაიხეხა, მენახირის ცოლს ვაჩუქე, მე კი ეს სიკვდილამდინაც მიმუკვება.

ბალკონის კუნჭულში გოგია მებადე სკამზედ ზის და ისიც გემრიელის საჭმლით იღმურძლება.

— აბა, გოგია, ბებიას სადღეგრძელო დალიე! წითელი ღვინით სავსე, დიდი ჭიქით ხელში, მივიდა იმასთან მელო.

გოგია ფეხზედ წამოდგა, ქალაქიდან მოტანილი ქუდი სიფთხილით მოაჯირზედ დასდო და გულიანად დაილოცა:

— ქრისტე აღსდგა! ღმერთმა და იმისმა აღდგომის მადლმა დიდხანს გვიცი ცხლოს, გვიდღეგრძელოს ქალბატონი თეკლე და იმისი ჰატარა შვილის-შვილის მელოს—ბებიისეულის დიდ ქალობას შეგვასწროს.

გათავდა ნადიმი. სუეველანი აირივნენ, სიცილ-ხარხარი გახშირდა. ეველა ერთმანეთს უჩვენებდა თავის ფეშქაშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებია ძეორე ოთახში იყო წამოწოლილი, დაიღალა, თავი სტკიოდა და იქიდან ადევნებდა თვალეურს ჰატარა დიასახლისის მასპინძლობას.

— ბებიაჯან, ბებიაჯან! რომ იცოდე რა მხიარულადა ვარ თ! რო გენახა როგორ ილუკმებოდნენ, როგორ იცინოდნენ, სტუნავდნენ, მღეროდნენ ჩვენი სტუმრები! ახლა სურათებს უჩვენებ. გაიანემ ფანჯრის დარაბები მისურა, ფარანი აანთო, წავალ, ფარდას ავხდი!

— რო გითხარი, ჩემო გვრიტო, რომ სოფელში უფრო ბედნიერი იქნები მეთქი! ჩედავ, სხვისი სიხარული ჩვენთვის რა ბედნიერებაა! წადი, გენაცვალე, ახლა სურათები უჩვენე. ნელა-ნელა, დალაგებით უამბე ყველაფერი.

ჰატარა მელოს სტუმრები ბნელა ოთახში განაბულები ისხდნენ და გულის კანკალით მოელოდნენ რაღაც საკვირველებას. მელომ ერთ კუთხეში მიდგმულ ფარანს სუფრა ახადა და ჰირდაჰირ კედელზედ საუცხოოთ და მკაფიოთ გამოიხატა მშვენიერი სურათი: აუვავებული მთის კალთა, ზაფხულის ცხოველის მზით განათებული და მაზედ ვარდის კონებივით სხვა და სხვა მხიარულის ტანისამოსით მოსილნი დედები თავიანთ ჰატარა შვილებით, რომელთაც კაცთმოუყვარეობით აღსავსე იესო შესცინოდა და უალერსებდა.

მელო მორცხვად, ხმის კანკალით უსსნიდა ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებს სურათებს. ოთახში ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის ფრენის შრიალი გაიგონებოდა. სურათს თვალს ვერ აშორებდნენ ჰატარა სტუმრები, იმათ გაკვირვებას და სიამოვნებას მხოლოდ მაღალი ქშენა და ახ, ახ! წამოძახილი ამჟღავნებდა.

სურათების შემდეგ კაკლის ქვეშ „თვალხუჭუნა“ და „ძერა-ძერის თამაში ვაიმართა და მხიარული კიჟინა და კარგა ბინდამდინ გაგრძელდა.

ბინდისას დაღალულ-დაქანცული მელო მარტოკა დარჩა და მხოლოდ მაშინ მოაგონდა ქალაქში დატოვებული სიმხიარულე და მეგობრები.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარდი გაიფურჩქნა!

საღამო იყო. მზე დასავლეთისკენ გამალებული მიეშურებოდა; მისი ცხოველ-მყოფელი სხივები თან-და თან ჰკარგავდენ წინანდელს სიძლიერეს. ნელი ნიავი ნაზად ჰქროდა, მაგივრათ მძლავრი ქარისა, რომლის ღმუილ-ქშუილი შიშს გვრიდა და აძრწუნებდა ასაყვავილებლად მომზადებულ ბუნებას. ცას შავი ღრუბელი გადაეფარა; მზე ჩავიდა, ირგვლივ გამეფდა სიბნელე; აღარც მთვარე, აღარც ვარსკვლავები. მხოლოდ სიბნელე გულ-საკლავი და სიჩუმე შესაზარი. შორის მხრიდან ახლად მოფრენილნი, გაზაფხულის მახარობელნი, ნაზად მსტვენავი, მოჭიკჭიკე მერცხლები თვის ბინას შეჰკედლებოდენ. ბულბული, სიხარულის კილოთი მგალობელი, ვარდ-ყვავილთა მოტრფიალე, მათი შემმკობი, მათი მგოსანი, შორს, ხევს გადაღმა გადაფრენილი, მყუდრო ადგილს მიმალულიყო და დრო გამოშვებით გულ-საკლავად, სევდიანის ხმით სტვენდა... შიშს მოეცვა მთელი ქვეყანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

გაზაფხული ახლოვდებოდა. ბუნება სუსხიან ზამთრის წყალობით ახრიოკებული, ასაყვავილებლად ემზადებოდა. აქა-იქ მთის ჩირგვებს სიმწვანე შეჰპარვოდა; აქა-იქ ხეებიც ფოთლებს ისხამდენ. ალაგ-ალაგ იასაც თავი ამოეყო და სურნელებით ამკობდა არე-მარეს. იღვიძებდა ბუნება, თვალს იფშვნეტდა და პატარძალივით მოკაზმვის, ამწვანების მოლოდინში ცქმუტავდა. მთებში თოვლი დნებოდა, მდინარენი-კი დიდდებოდენ და ბუტბუტით კვლავ განაგრძობდენ ზღვისაკენ დენას. ყველაფერს სიცხოვლე დაეტყო... მხოლოდ გაზაფხული დამამშვენებელ ვარდების გაფურჩქვნას-ღა უცდიდა! აგერ მთელი წყება ვარდებისა გასაფურჩქნავად ემზადებოდა; მათში-კი ამოეყო ერთს ვარდს თავი, რომელიც გაფურჩქვნილიყო და საამო სურნელებას ჰფენდა იქაურობას; იგი შუაში იყო ამოსული და ყველაზე მეტის სილამაზით ხიბლავდა არე-მარეს. ბულბული, მისი მგოსანი, მისი დარაჯი იქვე ახლოს უჯდა და ციურ ჰარმონიით შეზავებულ სიმღერებს აწვდიდა საზრდოთ თავის სატრფოს,—ვარდს.

ვარდი ფშვენდა, უფრო და უფრო იფურჩქნებოდა, მაგრამ იქვე ახლოს ასკილი ამოსულიყო, მათი რიცხვი თან-დათან იზრდებოდა და გადამუსვრას უქადოდენ არე-მარეს; ისინი მწარედ იკბინებოდენ... საღამო დრომდე საკმაოდ წამოიზარდენ და, იხელთეს რა დრო შებინდებით, ისინი დაერიენ ამ ლამაზათ ერთი-მეორეს გადაკონილ კოკრებს ვარდისას და დაუწყეს ჩქმეტა, მათ უფრო იმ გაფურჩქვნილ ლამაზ ვარდის ჟინი სჭირდათ. ეკლებს შეშურდათ ვარდის სილამაზე, მისი დამატკბობელი სუნი, რომელსაც ის უხვად ჰფენდა ქვეყანას და მთლად შეაძრწუნეს ვარდი... ჩაკმინეს იგი. ბულბულმა მწარედ იწყო კვნესა; აუჩქროლდა გული, აუცრემლდა თვალები და ნაღვლიანად დასცქეროდა თავის საყვარელ ვარდს, რომელსაც ფერი ეცვალა და მკრთალად მეტყველებდა!..

*
* *

ღამე იყო უსაზღვრო, მთელი არე უკუნეთმა მოიცო; აირიენ ღამის რაინდნი: ტურა-მელები კნავოდენ, მგელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმუოდა, ლომი საზარლად ბღავოდა. ქარი მძლავრად ჰქროდა. ჭოტი კივოდა, აიშალენ ყვავ-ყორნებიც და შიშის ზარსა სცემდენ მთელს არეს, ბულბულმა ერთი კიდევ ჩაჰკვნესა და თავს უშველა,—მიაშურა ხევს გადაღმა მდებარე მყუდრო ადგილს. სხვა ფრინველები, მდელოს ნაჩი ჩიტუნებიც გადაიმალენ... შიშს მოეცვა მთელი ქვეყანა!..

*
* *

მაგრამ აგერ რიჟრაჟმაც მოატანა. ინათა. აღმოსავლეთი წითლად შეიღება. ღამის რაინდნი გადაიმალენ შავს ორმოებში, ვერ გაუძლეს სინათლეს. გაფრინდა ბულბული თავის სატრფო—ვარდთან და... ნახა იგი ისევ გაფურჩქვნილი, რომელსაც დილის ნამი დაპკურებოდა და აბრწყინვებდა, აელვარებდა! ვარდი საუცხოვო იყო, ეხლა უფრო მეტ სურნელებას ჰფენდა იგი მიდამოს. ბულბულმა მორთო სტვენა, სიხარულის ჰანგებით იწყო გალობა:—„ვარდი ისევ ყვავის, გაიფურჩქნაო“,—გაჰკივოდა იგი. ზეცით ჩამოფრინდენ მერცხლები ღაღადებით და გალობით მიუახლოვდენ გაფურჩქვნილ ვარდს და შეიერთეს იგი. ასკილი დამარცხდა, ვარდს გამარჯვება დარჩა, მისი სურნელება ეხლა ცამდე აღწევს და ამკობს მთელს სამყაროს. მან მოჰფინა ირგვლივ მხიარულება; მზე ცხოვლად ანათებდა და... ყოველი არსება სიხარულით იყო აღტაცებული, ურთ-ერთს ეხვევოდენ და სტკბებოდენ საერთო ბედნიერებით!.. ვარდი ისევ გაიფურჩქნა!..

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი,

ათელი რუსეთი და მათთან ჩვენც ვდღესასწაულობთ 20 მარტს, ამ 1909 წელს, რუსეთის გამოჩენილ მწერლის ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლის ასი წლის დაბადების დღეს.

ნიკოლოზ გოგოლი დაიბადა 19 მარტს 1809 წელს სამხრეთ-რუსეთში, რომელსაც „უკრაინა“ ეწოდება. დიდებულ მწერლის ბავშობა გარეგნობით თითქოს ისეთივე იყო, როგორც ჩვეულებრივ ყოველი ბავშისა. ნამდვილათ ბავში კი ისეთ მაგალითებს ხედავდა და ისეთ პირობებში იყო, რომ მას მაღალი გრძნობები ეღვიძებოდა. უკრაინის დიდებულმა და მომხიბლავმა ბუნებამ, თავისი მუდმივი აყვავებულ მინდვრებით და ლურჯი ცის სილამაზით ბევრი რამ აგრძნობინა პატარა ბავშს და ხელი შეუწყო მის გრძნობის განვითარებას. შემდეგ ეს ბუნების სურათები, მამის მშვენიერი მოთხრობების გავლენით მისთვის ნამდვილ სულიერ საგნათ გადაიქცნენ. ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია მომავალ მწერალზე.

პატარა „ნიკოშა“-ზე (ასე ეძახდენ ბავშს) დიდი გავლენა იქონია მისმა დედამაც, რომელმაც თვისი ზნეობრივი სიფაქაზე სრულათ გადასცა შვილს. ღვთის მოსავმა დედამ ნიკოშას ბავშობიდანვე ჩაუნერგა გულში ღვთის სიყვარული და სათნოება. ყმაწვილს ვანვითარებაში გარემოებაც ხელს უწყობდა. იგი ჯერ სულ პატარა იყო, როცა გაიცნო მისთვის ახალი, უცნობი ცხოვრება. არამც თუ პატარა ნიკოშას, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არე-მარეზე მცხოვრებლებსაც არ ჰქონდათ არავითარი წარმოდგენა ასეთ ცხოვრებაზე. მათ ახლოს, მეზობელ სოფელში, გადმოსახლდა საცხოვრებლათ იმ დროში დიდათ ცნობილი და გავლენიანი კაცი, გვარათ „ტორშჩინსკი“, ეს კაცი ნა-



ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი.

თესავი იყო გოგოლის დედისა. ამ დიდ კაცს ვერ აკმაყოფილებდა სოფლის ერთგვარი ცხოვრება და ისე მოაწყო თავის ცხოვრება, როგორც პეტერბურგში. მთელ წელიწადს მის სახლში განუწყვეტლივ მხიარულობა და აური-ზაური იყო, ბალები, ვეჩერები და წარმოდგენები. გოგოლის ოჯახი მუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივი სტუმარი იყო ამათი. აქვე პირველათ გაითქვა სახელი გოგოლის მამამ თავისი დრამატიული ნაწარმოებებით.

ადვილი მისახვედრია როგორ გავლენას იქონიებდა ეს ახალი ცხოვრება მომავალ მწერალზე. როცა ნიკოშა ათი წლისა შეიქნა, მშობლებმა პოლტავის გიმნაზიაში მიაბარეს. მაგრამ იმავე 1821 წლის მაისში ახლად გახსნილ „ნეჟინის ლიცეიში" გადაიყვანეს. ლიცეიში გოგოლის საქმე პირველათ ცუდათ მიდიოდა. მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც ერთნაირათ სძულდათ გოგოლი. მასწავლებლებს მისთვის, რომ მეტად ცელქი ბავში იყო და მოსწავლეებს,—რომ ათასგვარი დაცინვით მოსვენებას არ აძლევდა. ვერც კარგათ სწავლობდა გოგოლი, რადგანაც მოუსვენარი ხასიათის გამო არ შეეძლო ერთს საგანზედ, ერთ ფიქრზე შეჩერება. მაგრამ ზარმაცი და ცელქი გოგოლი დიდ ხერხს და ნიჭს იჩენდა იქ, სადაც საქმე სასწავლო საგნებს არ შეეხებოდა. ლიცეიში ხშირათ იმართებოდა ხოლმე საბავშო წარმოდგენები, თვითონ მოსწავლეები მართავდენ და გოგოლს იქ პირველი ადგილი ეჭირა. ნიჭიერი და მოხდენილი თამაშობით განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებლები. განსაკუთრებით მოხუც დედაკაცებს საუცხოოთ არდგენდა. ამ წარმოდგენების საშუალებით გოგოლი უფრო დაუახლოვდა ამხანაგებს, რომლებთა შორის მოიპოვებოდა ბევრი ნიჭიერი და განვითარებული მოსწავლენი. ერთი მათგანი, სახელდობრ დანილევსკი მთელ მის ცხოვრებაში ერთგულ ამხანაგობას უწევდა. ლიცეიში რამდენიმე მოსწავლეებმა ხელთნაწერი ჟურნალის გამოცემა დაიწყეს, რომელშიაც გოგოლი დიდ მონაწილეობას იღებდა. ლიცეიში გოგოლს აღეძრა სურვილი პეტერბურგში წასვლისა. რუსეთის დედა ქალაქი, პეტერბურგი, გოგოლს სამოთხეთ ჰქონდა წარმოდგენილი. ამიტომ მისი ერთათ ერთი სურვილი, ლიცეის გათავების შემდეგ, იყო პეტერბურგში გამგზავრება.

გოგოლი თექვსმეტი წლისა იქნებოდა, როცა მამა გარდაეცვალა. მათი ოჯახის პატრონობა ტორშინსკიმ იკისრა. ლიცეის გათავების შემდეგ გოგოლი ცოტა ხანს ტორშინსკის ოჯახში სცხოვრობდა და მერე სიხარულით გაეშურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგში დანილევსკისთან ერთად. მოსკოვში გზათაც არ გაიარა, შთაბეჭდილებას გამიფუჭებსო. მაგრამ სინამდვილემ მალე შეაცვლევინა გოგოლს ასეთი აზრი პეტერბურგის შესახებ. სად იყო კარგათ მოწყობილი ოთახი „ნევის“ პროსპექტზე, როგორც ის ოცნებობდა? სად იყო მისი ნიჭის დაფასება?... ამის მაგივრათ სიღარიბეს და დამცირებას ხედავდა. იმდენი ფულიც არ ჰქონდა, რომ ტანსაცმელი ეყიდა; მთელი ზამთარი საზაფხულო ტანსაცმელით დაიარებოდა; მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა, რომ ოდესმე ბედს ეწევა. სახლიდან გამოგზავნილი ფულით მან გამოსცა თავისი პირველი ნაწარმოები: „Гансъ Кюхельгартенъ“-ი, რომელიც ლიცეიში ყოფნის დროს ჰქონდა დაწერილი. კრიტიკა ისე გულ-ცივად შოეკიდა გოგოლის პირველ ნაწარმოებს, რომ მან შეაგროვა ისევ ახლად დაბეჭდილი წიგნები და ცეცხლში ჩასწვა. გოგოლმა თავი მიანება წერას და არტისტობა უნდოდა დაეწყო; მაგრამ იქაც ბედმა უმუხთლა.

იმ დროს პეტერბურგში ყველასათვის საყურადღებო იყო ამის სამშობლოს „უკრაინის“ გაცნობა და ამიტომ გოგოლმა განიზრახა „უკრაინის“ ცხოვრება დაესურათებია თავის ნაწერებში. დედას და სხვა ნაცნობებს წერილები დაუგზავნა და სთხოვდა ხალხური მოთხრობები და სიმღერები მომაწოდეთო. გოგოლი ჩაუკვირდა თავის სამშობლოს ცხოვრებას და კარგათაც შეიგნო იგი. ცოტა ხანში პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა მისი რამდენიმე მოთხრობა ამ სათაურით: „Вечера на хуторѣ близъ Диканьки“. ამ მოთხრობებში გოგოლმა მშვენიერათ დაასურათა უკრაინელთა ცხოვრება, განსაკუთრებით კი მშრომელი გლეხები. დიდი სახელი მოუხვეჭა გოგოლს ამ მოთხრობებმა. მაშინდელმა დიდებულმა პოეტებმა: ჟუკოვსკიმ, პუშკინმა და კრილოვმა მალე დაიახლოვეს ახალგაზრდა მწერალი და ამხანაგათ გაიხადეს. 1831 წელს მისი მოთხრობები ცალკე წიგნათ გამოიცა. საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება მის ნაწერებს. მისი გარეშოება ამის მიზეზით გამოიცვალა. გოგოლს თანდათან შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარდა პეტერბურგი. მისი ერთად-ერთი სურვილი იყო აღარ მოშორებოდა ამ ქალაქს.

გოგოლს ბავშობიდანვე ძალიან იზიდავდა თეატრი, წარმოდგენები; მას ვერ აკმაყოფილებდა მაშინდელი პიესები, ისინი დაშორებული იყვენ ნამდვილ ცხოვრებას. მან მოინდომა ისეთი პიესა დაეწერა, რომელშიაც მაშინდელი ცხოვრება როგორც სარკეში, დაენახვებინა საზოგადოებისათვის. ამ ფიქრის განსახორციელებლათ დაბრუნდა გოგოლი თავის სამშობლოში 1832 წელს.

ოთხი წლის უნახავმა სამშობლომ გოგოლზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეხლა უფრო მეტათ შეუყვარდა მას თავისი სამშობლო. მაგრამ გოგოლი ის აღარ იყო, რაც უწინ; ის ეხლა გულცივი პეტერბურგელი კაცი გახდა. რაც მას აქამდის მშვენიერათ და ლამაზათ ეჩვენებოდა, ეხლა ყოველივე ეს მის თვალში უმნიშვნელო და შესაბრალის საგანს წარმოადგენდა. ეხლა მას უყვარდა სამშობლო არა სილამაზისა და სიმშვენიერისთვის, არამედ მისი დიდებული წარსულისათვის. ასეთი ხასიათის გამოცვლა შესამჩნევათ დაეტყო მის ნაწერებსაც. ახალი პოემები და მოთხრობები: „Старосвѣтскіе помѣщики“, „Шинель“-ი, „Вій“ და „Тарасъ Бульба“ სრულებით ეწინააღმდეგება მის უწინდელ ნაწარმოებს. აქამდის თუ მხოლოდ ცხოვრების კარგ მხარეებს აქცევდა ყურადღებას, ეხლა მისი ყურადღება ცხოვრების ცუდ მხარეებმა მიიპყრო. მწერალი ჰკიცხავს ცხოვრების ცუდ მხარეებს, დასცინის მათ; მაგრამ ეს დაცინვა იყო ცრემლით შეზავებული, როგორც თითონ გოგოლი იტყოდა ხოლმე.

ცხოვრება საშუალებას ითხოვდა. გოგოლი იძულებული შეიქნა სადმე სამსახურში შესულიყო. ამიტომაც მალე დაბრუნდა პეტერბურგში, იქ ჟუკოვსკის და პუშკინის შემწეობით ინსტიტუტში ისტორიის პროფესორობა მიიღო. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა ამ ადგილზე, რადგანაც ისტორია არ ჰქონდა მას კარგათ შესწავლილი. მისი პირველი ლექცია ყველას ძალიან მოეწონა... მაგრამ მხოლოთ პირველი. შემდეგი ლექციები ძალიან სუსტი გამოდგა: თანდათან ნაკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ დაიარებოდენ მოწაფეები მის ლექციებზე. ბოლოს გოგოლი იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა ამ საქმისათვის...

გოგოლი პროფესორობაზე უფრო მეტათ ფიქრობდა და ყურადღებას აქცევდა პიესას დაწერას. ცოტა ხანში კიდეც გაათავა და დაბეჭდა თავისი შესანიშნავი ხუთ-მოქმედებიანი კომედია „Ревизоръ"-ი. ამ პიესაში გოგოლმა ნათლათ დახატა პროვინციალურ მოხელეთა სისაძაგლე და არარაობა, მათი ზნეობრივი და გონებრივი სიღატაკე. იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა შემდეგი სიტყვები თქვა ამ კომედიაზე: „ყველას მოხვდა და უფრო მეტი კი—მეო!" ყოველი მხრიდან საყვედურის მეტი არა ესმოდარა გოგოლს ამ კომედიის წყალობით. განსაკუთრებით აღელვებული იყვენ ისეთები, რომელნიც მასში თავის თავს ხედავდენ.

მოქანცულმა გოგოლმა გადაწყვიტა შესასვენებლათ სამ-ზღვარ გარეთ წასულიყო, რომ დროებით მაინც მოშორებოდა ათასგვარს საყვედურს და უსიამოვნებას.

სხვა და სხვა ადგილებში ყოფნის შემდეგ გოგოლი იტალიის სატახტო ქალაქში, რომში, დაბინავდა. იტალიის მშვენიერმა ბუნებამ ისეთი შთაბეჭდილება იქონია გოგოლზე, რომ მას მეორე სამშობლო უწოდა. იტალიაში მან დაიწყო პოემის წერა: „მკვდარი სულები" (Мертвыя души). „მკვდარი სულები"-ს წერის დროს გოგოლს მიზნათ ჰქონდა აეწერა რუსეთის ცხოვრება იმ სახით, როგორიც იყო და ეჩვენებინა, როგორი უნდა ყოფილიყო.

1838 წელს გოგოლმა იტალიაში გაიგო პუშკინის სიკვდილი და ძალიან შეწუხდა. ამან ცუდი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე. იტალიიდან ორჯერ დაბრუნდა გოგოლი რუსეთში თავისი საკუთარი საქმეების გამო, მაგრამ დიდხანს არ ჩერდებოდა რუსეთში. ბოლოს თავის მეორე სამშობლოში გოგოლს რაღაც უცნაური აზრები დაებადა თავში და მუდამ სტანჯავდა მას. სხვათა შორის, ძალიან აწუხებდა ის აზრი, რომ ჩემი პოეტური შემოქმედება თანდათან სუსტდებაო. ასეთმა აზრებმა გოგოლი შურიანი გახადეს; ის შურის თვალით შესცქეროდა ჟუკოვსკის ლიტერატურულ დიდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე გოგოლი ფიზიკურათაც ცუდათ გრძნობდა თავს. რაც დრო გადიოდა, ის უფრო სუსტდებოდა ხორციელათაც და სულიერათაც. იტალიიდან გოგოლი ფრანკფურტში წავიდა საექიმოთ. იქ მან ცეცხლში ჩასწვა „მკვდარი სულები“-ს მეორე ნაწილი. 1842 წელს გოგოლი ისევ იტალიაში დაბრუნდა. იქიდან პეტერბურგში გაგზავნა ავათმყოფობის დროს დაწერილი მოთხრობები და მოუთმენლად ელოდა პასუხს. მაგრამ პასუხის მაგიერათ ბელინსკის წერილი მოუვიდა, ის დასცინოდა გოგოლის ნაწერებს. ამ ამბავმა გოგოლი უფრო მეტათ შეაწუხა და ავად გახადა. აღარავის ხმას აღარ სცემდა, აღარაფერს ლაპარაკობდა და სულ ნაღვლიანათ იყო. სულ ფიქრობდა, როგორ თავი დაეცვა და დაეწერა რამე გასამართლებელი, მაგრამ აღარ დასცალდა... მალე ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ორი სიტყვის დაწერაც აღარ შეეძლო. ავათმყოფი გოგოლი დაბრუნდა მოსკოვში და სიკვდილამდის იქ ცხოვრობდა. ის გარდაიცვალა 1852 წელს

მთელმა მოსკოვის განათლებულმა საზოგადოებამ დიდის ამბით დაასაფლავეს დიდებული მწერალი დანიელის მონასტერში.

გოგოლის საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლებიან: „Ревизоръ“-ი. „ძველი მებატონეები“ (Старосвѣтскіе помѣщики“, „Тарасъ Бульба“, „Шинель“ და „Мертвыя души“.

გოგოლს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ ლიტერატურაში. მან თავის ნაწერებში საოცარის სინამდვილით დახატა და გაკიცხა რუსეთის მაშინდელი ცხოვრება.

ტ. ვეფხვაძე.

ძველი მებატონეები*).

(ნაწყვეტი)

ერთავე მოხუცებულებს, როგორც ყველა ძველ მებატონეებს ძალიან უყვარდათ ჭამა. ინათებდა თუ არა (იმათ ადრე ადგომა უყვარდათ), სახლის კარებები

*) აქ მოგვყავს ერთი ნაწყვეტი ,,ძველი ბებატონეები''-დან, როგორც დამახასიათებელი მისი მწერლობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააბამდენ სხვა და სხვა ჰანგებზე ჭრიალს, ისინი მაშინვე მოუსხდებოდენ სუფრას და ყავას შეექცეოდენ. ყავის გათავების შემდეგ, ათანასე ივანეს ძე დერეფანში გამოვიდოდა და ცხვირსახოცის ქნევით დაიყვირებდა ხოლმე: „აქშა, აქშა, ბატებო!“ ეზოში მას ჩვეულებრივ მოურავი შეხვდებოდა და ათანასე ივანესძე, ჩვეულებისამებრ, გააბამდა იმასთან საუბარს. ის დაწვრილებით გამოჰკითხავდა მუშაობის შესახებ და ისეთ შენიშვნებს და ბრძანებებს მისცემდა ხოლმე, რომ დახელოვნებულ მცოდნე მეურნესაც გაუჭირდებოდა და უცხო კაცი იფიქრებდა, ნუ თუ შესაძლოა ამისთანა გამჭრიახ მემამულეს გაუბედონ რისამე მოპარვაო. მაგრამ მოურავი ნამდვილი მელა-კაცი იყო. მან კარგათ იცოდა რა უნდა ეპასუხნა და როგორ გასძღოლოდა საქმეებს.

ამის შემდეგ ათანასე ივანესძე სახლში ბრუნდებოდა, მიუახლოვდებოდა პულხერია ივანეს ასულს და ეტყოდა: „პულხერია ივანეს ასულო! იქნება, დროა რომ ცოტაოდენი ვისაუზმოთ?

— რატომაც არა, რითი გნებავთ ისაუზმოთ, ათანასე ივანისძევ? კუპატები მოვატაინო, ქადები, თუ დამარილებული სოკო?

— ძრიელ კარგი იქნება, კუპატებიც, სოკოც!—უპასუხებდა ხოლმე ათანასე ივანესძე და ერთ წამზე სუფრაზე გაჩნდებოდა კუპატებიც და დამარილებული სოკოც.

სადილ წინ ათანასე ივანესძე ერთ ხელ კიდევ ისაუზმებდა, ზედ ძველებური ვერცხლის თასით არაყს გადაჰკრავდა და თან პირს ჩაიტკბანურებდა ხმელი თევზით და სხვა ამგვარ რამეებით. სადილის საჭმელათ თორმეტ საათზე სხდებოდენ. აურება რამე ეწყოთ სუფრაზე. ლანგრები და ღრმა საინები სავსე იყო სხვა და სხვა საჭმელებით, გარდა ამისა, მრავალი ქოთნები ედგათ გადალესილი თავსახურავებით, რომ სუნი არ წასვლოდა რომელიმე გემრიელს ძველებურათ შეზავებულ საჭმელს. სადილზე მუსაიფობდენ მხოლოდ იმაზე, რაც შეეხებოდა ჭამას.

— მე მგონია ეს ქაში ცოტა დახრაკულია,—იტყოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირათ ათანასე ივანესძე,—თქვენ როგორ გეჩვენებათ, პულხერია ივანეს ასულო?

— არა, ათანასე ივანესძევ, თქვენ რომ ცოტა ერბო მიუმატოთ, მბშინ ხრაკის გემო აღარ ექნება, ან აი ეს სოკოიანი წვენი დაუმატეთ.

— კარგი,—იტყოდა ათანასე ივანეს ძე და თავის თეფშს გაუშვერდა,—მაშ ვცადოთ ესეც!

სადილის შემდეგ ათანასე ივანეს ძე ერთი საათით წავიდოდა დასასვენებლათ. შემდეგ პულხერია ივანეს ასული მიუტანდა ხოლმე დაჭრილ საზამთროს და თან ეტყოდა:

— ათანასე ივანესძევ, გაშინჯეთ რა გემრიელი საზამთროა!

— თქვენ ნუ გჯერათ, პულხერია ივანეს ასულო, რომ თუ საზამთრო წითელია, უსათუოდ კარგი იქნება,—ეტყოდა ათანასე ივანესძე და თან ერთ დიდ ნაჭერს აიღებდა,—ხშირად წითელია და ცუდი კი გამოდგება ხოლმე.

მაგრამ საზამთრო ერთ წამს შეიჭმევოდა. ამას ათანასე ივანესძე მიაყოლებდა რამდენიმე მსხალს და მერე ისა და პულხერია ივანეს ასული ერთათ ბაღში გაისეირნებდენ. სახლში რომ დაბრუნდებოდენ, პულხერია ივანეს ასული გაეშურებოდა თავის საქმეებზე, ქმარი კი ჩამოჯდებოდა დერეფანში და იქიდან გაჰყურებდა თავის საკუჭნაოს. შესცქეროდა ხოლმე თუ როგორ იღებოდა და იხურებოდა მისი კარები, როგორ გამოჰქონდათ და შეჰქონდათ გოგოებს ყუთებით და აქანდაზებით ნაგავი და ხარახურა. გოგოები ერთმანერთს ეჯახებოდენ და გაჰქონდათ აურ-ზაური. მერე დაიბარებდა პულხერია ივანეს ასულს და ან თვითონ წავიდოდა მასთან და ეტყოდა:

— პულხერია ივანეს ასულო, არაფერი არა გაქვს ისეთი, რომ დავნაყრდე?

— არ ვიცი, ისეთი რა გაჭამო!—ეტყოდა პულხერია ივანეს ასული,—მოდი, წავალ და ვეტყვი, რომ მოგიტანონ კუპატები მურაბით, რომლებიც განგებ, თქვენთვის შევანახვინე!

— ეგ კარგია!—უპასუხებდა ამაზე ათანასე ივანესძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ან იქნება, ფელამუში მიგერთმიათ?

— ეგეც მშვენიერება იქნება!—უპასუხებდა კიდევ ათანასე ივანესძე.

ყველა ამაებს საჩქაროთ მოიტანდენ სუფრაზე და საჩქაროთვე შეიჭმევოდა.

ვახშმის წინეთ ათანასე ივანესძე პირს წაჰკრავდა კიდევ ცოტაოდენ რასმე. ათის ნახევარზე ვახშმათ დასხდებოდენ. ვახშმის შემდეგ მაშინათვე დასაძინებლათ წავიდოდენ და საერთო მყუდროება ჩამოვარდებოდა ამათ კუთხეში, სადაც დღისით ცოტაოდენი სიცოცხლე მაინც ეტყობოდა.

ოთახში, რომელშიაც ეძინათ ათანასე ივანესძეს და პულხერია ივანეს ასულს, ისეთი სიცხე იდგა, რომ იშვიათად გასძლებდა კაცი შიგ რამოდენიმე საათს. მაგრამ ათანასე ივანესძე ამის მიუხედავათ წვებოდა ფეჩის თავზე. ზოგჯერ ნამეტანი სიცხით შეწუხებული იძულებული იყო ღამე ამდგარიყო და ოთახში გაევლ-გამოევლო. ამ დროს ათანასე ივანესძე ხშირად კვნესოდა ხოლმე.

მაშინ პულხერია ივანეს ასული ეკითხებოდა:

— რათა კვნესით, ათანასე ივანესძევ!

— დასწყევლოს ღმერთმა! პულხერია ივანეს ასულო, თითქოს ცოტა მუცელი მტკივა,—მიუგებდა ქმარი.

— ათანასე ივანესძევ, იქნება მიირთვათ რამე?

— არ ვიცი, პულხერია ივანეს ასულო, მომიხდება თუ არა? მაინც რა უნდა ვჭამო?

— აი, მაგალითად მაწონი, ან მსხლის ჩირი!..

— კარგი, ისე ცოტაოდენს გემოთ ვნახავ

ნამძინარევ გოგოს წამოაგდებდენ ზეზე და გაგზავნიდენ განჯინებში საჭმელების საძებნელათ და ათანასე ივანესძე ერთ თეფშს სავსეს ანაზდეულათ შესჭამდა და იტყოდა: „მგონი მარგო, უკეთ შევიქენი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩლახუნა დათუნია.

(სეტონ-ტომპსონისა)

I



ჩლახუნა ჯერ სულ ახალგაზდა იყო და სცხოვრობდა თავის დედასთან ტყეში, სასტუმრო „ფონტანა“-ს ახლოს. ამ ტყეში ნადირობა აკრძალული იყო, ისე რომ აქაურ პირუტყვებს თავისუფლათ შეეძლოთ ცხოვრება. სასტუმროს პატრონსაც ნაბრძანები ჰქონდა მ ისამსახურეებთან საჭმელების მონარჩენები მინდორზე, სახლის უკან ეყარათ, ისე რომ ამ ტყის მცხოვრებლებს ბლომათ ჰქონდათ სასუნავი.

ჩლა ̆უნა დათუნია

დათვებმაც დააფასეს ადამიანის ასეთი გულკეთილობა და ისე გაშინაურდენ, რომ სულ უშიშრათ მიდიოდენ სახლთან.

სასტუმროს მოსამსახურეებიც თავის მხრივ შეეჩვივნენ დათვე და ყველა მათგანს სხვა და სხვა შესაფერი სახელი გამოუგონეს.

აქ იყო წვრილი იაშა—გრძელ ფეხება, გამხდარი დათვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილი—ზარმაცი, ძალიან მსუქანი დათვი, რომელიც სულ გორავდა და სჭამდა და ბევრი სხვა... მაგრამ ყველაზე საყვარელი სასტუმროს მცხოვრებლებისათვის იყვნენ ბუსხუნა თავისი ჩლახუნათი.

ბუსხუნა იყო მსხვილი მოწითანო დათვების ჯიშისა. ჩლახუნა იყო ერთათ-ერთი შვილი ბუსხუნასი და ყოველთვის დედას უკან დასდევდა და ერთთავად ღმუოდა და წკმუტუნებდა. ეს გარემოება ამტკიცებდა იმის ავადმყოფობას, რადგან ცნობილია, რომ ჯანმრთელი დათუნია, ისე როგორც ჯანმრთელი ბავშვი ნაკლებ ანჩხლობს. მართლაც საწყალი დათუნია კოჭლი და მთლათ გასაცოდავებული იყო. აშკარაა კუჭის ავადმყოფობაც ჰქონდა და არც გასაკვირველია: ყველაფერს მუცელში იყრიდა, რაც კი გემრიელი ეჩვენებოდა. რამდენრას არ ყლაპავდა სამზარეულოდან მონარჩენს.

მოყვარული დედაც არას უშლიდა, ისე რომ დათუნიას მსუნაგობა დედის ბრალიც იყო.

ჩლახუნას სამ ფეხზე არ შეეძლო ჩქარა სიარული და ამიტომ მეოთხე ფეხსაც მიათრევდა; ბალანი გასცრეცოდა და ალაგ-ალაგ მოსძრობოდა; მაგრამ დედის თვალში იგი მეტათ ლამაზი იყო. დედას პატარა ხელმწიფეთ მიაჩნდა დათუნიების შორის და საშინლათ ანებივრებდა.

მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი უშნო დაიბადა და ცუდათაც იზრდებოდა ჩლახუნა არ იყო სულელი და მშვენივრათ იცოდა რაც იმის სასარგებლო იყო.

II

ერთ ზაფხულს 1897 წელს მე მომიხდა „ფონტანა"-ს სასტუმროში ჩამოხტომა. მოსამსახურეებისაგან გავიგე, რომ სასტუმროს უკან, ტყეში სცხოვრობს რამდენიმე თვინიერი დათვი და თუ მოვისურვებდი, ახლოს გავიცნობდი. ამისათვის საჭირო იყო მხოლოთ მინდორზედ, სასტუმროს უკან გავსულიყავი. მართლაც, გავედი თუ არა სამზარეულოს კარებში, დავინახე ერთი უშველებელი მოწითანო დათვი ორი პატარა ბელითა. მე უცბათ შევჩერდი. დათვებმაც თვალიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიწყეს; ცოტა ხანს უკან ძუ დათვმა რაღაც დუდუნი დაიწყო და შეხედა იქვე მდგომ ნაძვს. დათუნიებიც, ალბათ მიხვდენ დედის ბრძანებას, მისცვივდენ ხეს და ისე აცოცდენ,

როგორც მაიმუნები; იქ მაგარი ტოტი ამოარჩიეს და ჩამოსხდნენ, როგორც პატარა შეგირდები; წინა ფეხები ტოტებზე ჰქონდათ შემოჭერილი, ხოლო უკანა—ჩამოკიდული.

იქიდან დათუნიები ძირს იყურებოდნენ და იმის მოლოდინში იყვნენ, რა მოხდებოდა. ძუ დათვმა ჩემკენ გამოსწია. რაღაც უსიამოვნობა ვიგრძენ უშველებელი დათვის დანახვაზე, რომელიც სრულებით არ მეპუებოდა. მე უბრალო ჯოხიც არ მქონდა დათვის მოსაგერებლათ. შემომესმა თუ არა დათვის ბურტყული, დავაპირე გაქცევა, თუმცა გაგონილი კი მქონდა ამათი გულკეთილობა. ძუ დათვი მომიახლოვდა ოცდა ათ ნაბიჯზე, გაჩერდა და დამიწყო თვალიერება. ცოტა ხანს ყოყმობა შევნიშნე. თითქოს ფიქრობდა: „ეს რა მხეციაო“? და გადასწყვიტა შვილები ჩემთვის მოეშორებინა. თვალებით ანიშნა ჩამოსვლა და ისინიც ნელ-ნელა ჩამოცოცდნენ ხიდან. მოძრაობაში სრულებით არ ჰგვანდნენ დათვებს, ისე ადვილათ დათავისუფლათ გადადიოდნენ ტოტიდან ტოტზე.

დედა შვილნი ამის შემდგომ ტყისკენ გაემგზავრნენ.

სასაცილო იყო დათუნიები, როგორ ემორჩილებოდნენ ბრძანებას. რასაც კი უბრძანებდა დედა, ისინიც იმ წამსვე ასრულებდნენ; ან კი რა ექნათ: რომ არ დაეჯერებინათ, დედა ისეთ დღეს დააყენებდა, რომ კარგა ღონივრათ ააყმუვლებდა.

მე მეტათ კმაყოფილი ვიყავი დათვების პირველის გაცნობით ამ ტყეში. მაგრამ, როგორც გადმომცეს, ისე სავსებით ვერ გავიცნობდი დათვებს, თუ იმ მინდორს არ ვნახავდი, საცა აგროვებდნენ სამზარეულოს მონარჩენებს. იქ, როგორც მითხრეს, ვნახავდი მთელს დათვების კრებულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მეორე დღესვე გავემგზავრე დათვების სასადილოსკენ. ეს სასადილო წარმოადგენდა ნაძვებით შემოზღუდულს პატარა ალაგს. აქ მე მახლობელ ბუჩქს ამოვეფარე. ცოტა ხანს უკან დავინახე უშველებელი დათვი, რომელიც გამოვიდა ტყიდგან და იწყო ქექა ნაყარ-ნუყარში. იგი პოულობდა თავისთვის საგემრიელო ნაჭრებს და სჭამდა.

ეს დათვი წამ და უწუმ კრთებოდა და ყოველ ხმაურობაზე უკან-უკან იწევდა.

უცბათ ყურები ცქვიტა და საჩქაროთ გასწია ტყისკენ. მინდორზე გამოჩნდა სხვა დათვი. ახალი სტუმარი პირველზე მშიშარა გამოდგა, რადგან ჩემს შენძრევაზე მოჰკურცხლა.

ამ დათვების საცხოვრებელში აკრძალული იყო რაიმე იარაღით სიარული, ისე რომ, უნდა მართალი მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს, შიშსა ვგრძნობდი დათვების პირველ გაცნობაზე, მაგრამ, რაკი დავრწმუნდი, რომ დათვებს პირიქით ადამიანის ეშინიანთ, დავმშვიდდი და გულმოდგინებით შეუდექი იმათი შინაური ცხოვრების შესწავლას.

მე მეგონა რომ ნაგავსა და ბუჩქს შორის, საცა მე დავიმალე, დიდი მანძილი იყო. ჩვენ ერთი-ერთმანეთზე სამოცდა ათ ნაბიჯზე ვიქნებოდით. სხვა ბუჩქი ამაზე ახლო არ იყო. ამიტომ ეს ბუჩქი იყო ერთად-ერთი საშუალება იმათთან დაახლოვებისა; ჩავჯექი და ჩავიფალი კომბოსტოს ძირებში, კარტოფილის ნაფცქვენებში, ძველ რკინის კოლოფებში და სხვა და სხვა ამ გვარ ნაგავში. ამ ალაგიდან მე კარგათ ვაკვირდებოდი დათვებს და მთელი დღე ვხატავდი მათ ჩემს უბის წიგნში და ერთი დღის განმავლობაში მოვახერხე იმათი ყოფა-ცხოვრების შესწავლა.

ხშირათ გამიგონია დაკვირვებას მოკლებული პირებისაგან, რომ მაგალითად, ზანგები, ჩინელები და თვით პირუტყვებიც, თუ ერთი ჯიშის არიან, უეჭველათ ერთი-ერთმანეთს უნდა წააგავდნენო, მაგრამ ეს შემცდარი აზრია; როგორც ყველა კაცი გაირჩევა ერთი-მეორისგან, ასევე ერთი ჯიშის პირუტყვი გაირჩევა მეორისაგან. ასევე დათვებიც განირჩევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ერთი-ერთმანეთში სხვა და სხვა თვისებებით, როგორც გარეგნობით, ისე ჩვეულებებით.

უცნაური რამ შევნიშნე ამ პირუტყვებს: როცა კი ჩიტების სიმღერა შემომესმოდა ხოლმე ტყიდან, იმ დროს დათვების ჩამი ჩუმი აღარ იყო, ისინი ისე რბილათ ადგავდნენ თავის მოუხეშავს, გაფაფხულ, ფეხებს დედამიწას, რომ ერთ ჩხირს არ გაანძრევდნენ და ფოთლებსაც კი არ აშრიალებდნენ. ეტყობოდათ კარგათ ჰქონდათ შესწავლილი ყველა კუთხე ტყეში და ისე ხელოვნურათ დადიოდნენ, როგორც კატები.

III

მთელი დილა დათვები ისე მიდიოდ-მოდიოდნენ, რომ მე არ მაშჩნევდნენ. ამ ხნის განმავლობაში საინტერესო არა შემინიშნავს-რა. მარტო ორიოდე პატარა ჩხუბი მოხდა დათვების შორის და ამითი გათავდა. ხოლო სამ საათზედ სურათი შეიცვალა.

ოთხი უშველებელი დათვი შეიკრიბნენ საღილის საჭმელათ. მათ შორის იყო ერთი მეტათ მსხვილი დათვი. ეს დათვი ზანტათ სწვდებოდა ხან ერთ, ხან მეორე სასუსნავ ნაჭერს და წამ და უწუმ ჰყობდა გრძელ, წითელს, გველის მსგავს ენას, რომ საჭმელი შორიდან ადვილათ მიეწვდინა.

მეორე, წვრილი იაშაც ჭლვის კიბოს აგებულობას ჩაეფიქრებინა. მას თავის დღეში მსგავსი არა ენახა რა, მაგრამ მალე გადასწყვიტა, როგორ უნდა მოჰქცეოდა კიბოს ჩონჩხს. ორი სხვა დათვი საკვირველის ხერხით ლოკავდნენ მურაბისა და ჩადებულ ატმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის კოლოფებს. ერთ თათში კოლოფი ეჭირათ, ისე უსვამდნენ შიგ ენას და ამნაირათ გამოასუფთავებდნენ ხოლმე; ამასთან ისე ოსტატურათ, რომ ენას არ იჩხვლიტავდნენ კოლოფის წვეტებზე.

ამ სანახაობაძ ისე დიდხანს გასტანა, რომ მოვასწარი იმის გადახატვა. შემდგომ ჩემი ყურადღება მიიპყრო სხვა ალაგმა: მინდვრის ცალ მხარეს პატარა გორაკი იყო. აქედან გამოდიოდა ყველა ოთხფეხი სტუმარი ამ ნაგვისა. უცბათ ამ გორაკის მწვერვალზე გამომეცხადა ორი საყურადღებო ფიგურა: დედა და შვილი, ბუსხუნა დათვი თავისი ჩლახუნა დათუნიათი.

ძუ დათვი ჩამოვიდა მინდორზე. კოჭლი დათუნია კი ძლივს დედის უკან მოჩლახუნებდა ღრიალით. დედა კრუხივით მალ-მალ იხედებოდა უკან თავის შვილისკენ.

ძუ დათვი ოცდა ათ ნაბიჯზე რო მიუახლოვდა ნაგავს, შეჩერდა, მიხედა შვილს და დაიბურტყუნა რაღაც, რომელიც იმათ ენაზე ალბათ ნიშნავდა: „შვილო, შენ მანდ მომიცადე, მე კი წავალ და გავრეკავ იმ ვაჟბატონებს იქიდანო“. ჩლახუნამ დაუჯერა: გულში კი საშინლათ უნდოდა ენახა რა მოხდებოდა. ამისთვის უკანა ფეხებზე დაცუცქდა, ყურები აცქვიტა და წინ დაიწყო ყურება. ძუ დათვი აუჩქარებლივ, დიდებულათ უახლოვდებოდა ნაგავს. მან რამდენჯერმე დაიყმუვლა, რომ ოთხი მოქეიფე სტუმარი დაეფრთხო. მაგრამ დათვები ისე იყვნენ გართულნი სადილით, რომ ვერც კი შენიშნეს ამხანაგის მოახლოვება.

თხუთმეტ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა დათვებს, ერთი მკაცრათ ჩაუხველა და დათვებიც დაფრთხნენ. ვერც ერთმა ვერ გაბედა მასთან ბრძოლა და ცალკ-ცალკე ტყეში გაიფანტნენ. წვრილ იაშას თავისი ფეხების იმედი ჰქონდა, მაგრამ მას არც ორი სხვა ჩამორჩა. ხოლო საცოდავი მსხვილი დათვი კი, თავის სისუქნის და მოუხეშაობის გამო ვერ დაემალა მტერს. მაგრამ დახე უბედურობას! უცაბედათ აკი ჩლახუნასკენ არ მოუხდა გაქცევა, რისთვისაც ძუ დათვმა ორი კაი მუჯლუგუნი უთავაზა. საცოდავმა დათვმა ეხლა კი იკადრა სხვა მხრისაკენ გაქცევა. ახლა კი მოსიყვარულე დედამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინარჩუნა მთლად გემრიელი სადილი. მიუბრუნდა შვილს და უძახდა საკვირველის მოსიყვარულე ხმით: „ერ! ერ! ერ!“ გახარებული ჩლახუნაც გამოეხმაურა. იგი წაცუნცულდა თავის სამ ფეხზე და მიუცუცქდა დედას ნაყარ-ნუყარის ახლოს. ისეთი წვეულობა გაიმართა, რომ ჩლახუნა დათუნია აღარც კი ბუსხუნებდა. ქცევაზე ეტყობოდა, რომ იგი პირველათ არ ყოფილა ამ ალაგას. გარედანვე ატყობდა კოლოფს რისა უნდა ყოფილიყო. თუ კიბოების ნადები იყო, ან რაიმე თევზისა განზე გადასტყორცნიდა; ხოლო სამურაბე კოლოფს დიდის აღტაცებით მიეგებებოდა ხოლმე. ზოგი კოლოფის გამოლოკვა ეძნელებოდა თავის მსუნაგობის და მოუხერხებლობის გამო. წამ და უწუმ იფხაჭნებოდა წვეტიან კოლოფებზე.

ერთი საკონსერვე კოლოფი ისეთი განიერი შეხვდა, რომ ჩლახუნამ ბღლაძა მოადინა შიგ თავს. ამ განცხრომაში სულ რამდენიმე წუთი იყო, მანამ გამოლოკავდა კოლოფს, მაგრამ რომ დააპირა თავის ამოღება, ვაი უბედურობას! ვერაფერ ღონის ძიებით ვერ გამოიძრო თავი, დაიწყო პროწიალი თავისი რკინის ჩაჩით და თან მორთო წრიპინი გაანჩხლებულ ბავშვივით.

დედაც საშინლათ შესწუხდა, არც იცოდა როგორ ეშველა. დიდი წვალების შემდგომ, როგორც იყო თვითონვე წაიძრო კოლოფი და გაბრაზებულმა იმდენი სცემა თათებით კოლოფს, სანამ სულ არ დაჭეჭყა.

მერე ჩლახუნამ სამურაბე კოლოფი იპოვნა, რომელიც საბედნიეროთ, თავ ახდილი იყო და ნაპირებიც შემოკვერცხილი ჰქონდა. ამ კოლოფმა იგი დიდხანს ასიამოვნა. თუმცა შიგ ვერ ჩაყო თავი, მაგრამ აქაც მოახერხა იმის კარგათ გამოლოკვა. ჩაყო შიგ თათი, მიუსვ-მოუსვა ძირში და გვერდებზე და მერე თათი გაილოკა. ასე მოქმედებდა ჩვენი დათუნია ხან ერთი, ხან მეორე თათით, მანამ სულ არ გამოასუფთავა. შემდეგ ამისა, იმის ყურადღება მიიპყრო თაგვის ხაფანგმა. იგი ხაფანგს წინა ფეხებით ატრიალებდა და თან აკვირდებოდა, თითქოს იმის მოწყობილობის შესწავლა სურსო. ამ ხაფანგს დათუნიასთვის ძალიან სასიამოვნო ყველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნი ასდიოდა, მაგრამ, როდესაც ჩლახუნამ უცაბედათ კარებს გამოჰკრა და იგი დაეცა, დათუნას, ცოტა არ იყოს შეეშინდა. დიდხანს სინჯავდა მისთვის გაუგებარ საგანს ჩლახუნა თავ ჩაღუნული და დაღრეჯილი, და ბოლოს ასეთივე დღე დააყენა, რაც იმ კოლოფს, რომელმაც წინათ ასე გააწვალა. ხაფანგი რო დაამტვრია, ჩლახუნამ თავის საბედნიეროთ იქ ყველი ნახა. იშვიათი მადის პატრონი იყო და ყოველ ახალ საჭმელს დიდის სიხარულით ეგებებოდა, როცა სულ დალოკა ტკბილეულობების კოლოფები, მიჰყო ხელი სარდინკების და სხვა საჭმელების კოლოფებს. აშკარათ ვამჩნევდი, რომ ჩლახუნას მუცელი თან და თან ეზრდებოდა და ბურთს ემსგავსებოდა, თათები კიდე ლოკვით საშინლათ დაუსუსტდა.

მარო იაშვილისა.

(დასასრული შემდეგ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კიბუნ-დეიზინ“

ამბავი იაპონელი ბავშვისა, რომელმაც მოინდომა პირველი ვაჭარი გამხდარიყო იაპონიაში.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

VIII. საუტხოვო ბავშვი.

როდესაც ფორთოხალით მოვაჭრეებმა გაიგეს კიუშუიდან იედოში ფორთოხალით დატვირთული გემის მოსვლა, გაეშურნენ ბუნკიჩისაკენ და დიდი ცილობა ასტეხეს... ამ ცილობამ ფორთოხალს ფასი აუწია და ბუნკიჩიმ ორმოცდა ათი ათასზედ მეტი „პიო“ მიიღო.

ბუნკიჩი ამასაც არ დასჯერდა. რადგანაც დასავლეთის ქარი ხანგრძლივათა ჰქროდა, ვერც ერთი გემი ვერ წამოვიდოდა იედოდან ოსაკაში და მაშასადამე ორაგულის მუჟუჟი ძალიან ნაკლებათ იქნებოდა იქ, მაშინ, როდესაც იედოში ბევრი იყო და ძალიან იაფათ. ბუნკიჩიმ ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა შესდგომოდა დიდს სამზადისს და წაეღო ეს მუჟუჟი ოსაკაში და იქაც დიდი სარგებელი ენახა.

ეს განზრახვა თავის კაცებს გაუზიარა და ესენიც სიამოვნებით დასთანხმდნენ მასთან ერთათ გამგზავრებას. ამის შემდეგ ბუნკიჩიმ დიდძალი მუჟუჟი მოაგროვა, დააწყო გემზედ და დაუწყო ამინდის გამოცვლას ლოდინი. ცდა ბევრი ხანიც არ მოუხდა. გიჟმაჟი დასავლეთის ქარი შესცვალა აღმოსავლეთის ქარმა და ამითი გამხნევებულმა ბუნკიჩიმ ააშვებინა იალქანი. მალე მშვიდობიანათ მიახწია ოსაკას ნავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურს და აქაც რამდენიმე ათი ათასი „პიო“ აიღო. ბუნ-კიჩის ბედიცა სწყალობდა. ყოველივე ცდა გამარჯვებით უგვირგვინდებოდა და რაღაც თვე ნახევრის განმავლობაში ასი ათასი „პიო“ შეაგროვა. ამ წარმატებას ხელს უწყობდა კიშიდაიუ და ბუნკიჩიმ ათასი „პიო“-თი დააჯილდოვა იგი. არც მეზღვაურები დაუტოვებია უნუგეშოთ: ამათაც დიდი გასამრჯელო მიიღეს თავისი პატარა ბატონისაგან და აღტაცებულებმა ამ უხვი დაჯილდოებით დიდი მადლობა გადაუხადეს მას.

კაპიტანი კიშიდაიუ წავიდა საკაიას ქალაქში, სადაც მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა და ფული გადასცა ამდენი ხნის უნახავ თავის საყვარელ ჯალაბობას. იგი რამდენიმე დღე დარჩა აქ და მერე დაბრუნდა ოსაკაში, საიდანაც ბუნკიჩისთან ერთათ კუმანო ურაში წავიდა.

კუმანის მცხოვრებლებმა რომ გაიგეს იედოში გემის მშვიდობიანათ მისვლა, დიდათ გაიხარეს და აღტაცებით ელოდნენ მის დაბრუნებას. მართლაცა და ბუნკიჩი იმავე გემზედ მშვიდობიანათ დაბრუნდა და დიდი და პატარა, უცნობი და ნაცნობი იკრიფებოდა მისალოცავათ.

ამ დღიდან, ვაჭარი დაიკოკუა ეექცევა მას, როგორც თავის სტუმარს, მაშინ, როდესაც სხვა მცხოვრებლები პატივის ცემით ეექცეოდნენ, როგორც დარბაისელს და ამის შემდეგ მას ვანიზამ-კოზოს (ნათელ-თევზა ბავშვის სახელით აღარ იხსენიებდნენ.

სახლში მისვლისთანავე ბუნკიჩიმ ყველაფერი დაწვრილებით უამბო თავის პატრონს და მერე გასწია იმ ვაჭრების სანახავათ, ვისგანაც იედოში წასაღები ხილი იყიდა და მიმართა მათ ამ სიტყვებით:

— მე ძალიან მადლობელი ვარ იმ ფორთოხლებისთვის, რომელნიც მომყიდეთ ამას წინათ. მე იგი დიდი სარგებლით გავყიდე და იმავე დროს თქვენ კი ნაზარალევი დაგტოვეთ; არ მინდა მარტოთ-მარტომ მე ვისარგებლო ამ მოგებით და ამისთვისაც აი წაიღეთ ერთი ორათ მეტი, ვინემ წინათა გქონდათ მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოულოდნელი უხვობით ყველა აღტაცებული იყო; მისი სახელი გაითქვა კიის პროვინციაში, ყველას უნდოდა მისი გაცნობა, მასთან საქმის დაჭერა; როდესაც მას რაიმე სავაჭროს ყიდვა მოუნდებოდა, ყველა ცდილობდა მის გულის მოგებას და რაც უნდოდა, ყველაფერს ადვილათ შოულობდა.

ამის შემდეგ დადგა ის დღეც, როდესაც ბუნკიჩიმ მოინდომა იედოში გამგზავრება და დიდი ვაჭრობის დაწყება. იმედი ჰქონდა მას, რომ მთელ იაპონიაში დიდებულ სახელს მოიხვეჭავდა. გადასწყვიტა თუ არა ეს, მაშინვე კუმანოს ზოგიერთ დიდ ვაჭრებთან მოლაპარაკება გამართა. ამათა სთხოვდა: ყოველი მათი ფორთოხალი და საშენებლათ სახმარი ტყის მასალა ეგზავნათ მის მაღაზიაში და ეს მაღაზია უნდა გამხდარიყო ერთათ-ერთ საწყობათ ამ ქალაქში. ესენიც, ამ ყმაწვილისაგან ძალიან დავალებულნი, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ რაც შეიძლება კარგათ, ხელი შეეწყოთ ბუნკიჩის საქმისათვის. ამ ამბით გახარებული ბუნკიჩი წავიდა იედოში და დაბინავდა ხაჩობორის ახლო, კიის პროვინციაში. ეს მოხდა მაშინ, როდესაც იგი 19 წლისა იყო. მაშინ მან თავისი სახელი ბუნკიჩი ბუნზეიმონათ (მამის სახელით) შესცვალა. დაიწყო დიდი ვაჭრობა ხის მასალითა და ფორთოხალითა. ამ რიგათ მისი სიმდიდრე დღითი-დღე მატულობდა.

ერთხელ უფროსი ხუროჩვეულებისამებრ თავისუფლათ შევიდა ბუნზეიმონთან და მიმართა მას შემდეგი სიტყვებით:

— მე თქვენთან გიახელით—ერთი უცნაური საქმის შესახებ დარიგება რამე მომცეთ, ბატონო ჩემო! თქვენი სავაჭრო სახლისთვის ხომ არ ინებებთ და არ დაიჭერთ ერთს კაცსა?

— მე მაგის წინააღმდეგი არ ვიქნები, მხოლოთ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კაცია იგი, უპასუხა ბუნკიჩიმ.

— მართალი რომ გითხრათ—იგი ძალიან უცნაური რამე ბძანდება. მე რომ იმაზე მოგიყვეთ ყველა ამბავს, არა მგონია იგი ახლო მიიკაროთ. მე უფრო ის მიმაჩნია უცნაურათ, რომ თვითონ მთხოვა, ყველაფერი მისი ამბავი დაწვრილებით თქვენ მოგახსენოთ. აი მისი სიტყვები: „თუ ბუნზეიმონი ამიყვანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ კარგი, თუ არა და დიდს სისულელეს ჩაიდენს და მეც არ მოვინდომებ იმასთან სამსახურსაო. ეს ნამდვილი მისი სიტყვებია. კიდევ ეს დაუმატა: „თუ მას იმდენი ჭკუა არ შესწევს რომ მე ამიყვანოს, მაშინ თქვენ ნუ იწუხებთ, თუ თქვენი დამოკიდებულება მასთან დაირღვესო!“

— მე მესმის, რომ ამ სიტყვებით თქვენ ნაწყენი ხართ, მიუგო ბუნზეიმონმა; მაგრამ ერთი ეს მითხარით, რა საქმეს ადგა ის აქაშდის?

ამ კითხვაზე ხურომ უპასუხა:

— ყველანი მის ოჯახში სამხედრო სამსახურისა არიან, ის მეორე შვილია. რაც შეეხება მის ყოფა-ცხოვრებას, ძალიან ზარმაცია. თქვენ, რასაკვირველია, ბევრი გინახავთ ამგვარი ადამიანი; მაგრამ ის გადამეტებით ხელ გაუნძრეველია. მას არ უყვარს ადრე ადგომა და საქმის გაკეთება. თუმცა მისი ცხოვრება ჩემზეა დამოკიდებული, მაგრამ ის მედიდურობას იჩენს ჩემთან. ამასთანავე ისეთი თავხედიც არის, რომ თქვენთანა მგზავნის ადგილის საშოვნელათ.

ბუნზეიმონი ცოტა ხანს შეფიქრიანდა და მერე უპასუხა:

— რაც თქვენ მიამბეთ, ძალიან საყურადღებოა. მაინცა და მაინც ის კაცი მოიყვანეთ ჩემთან.

— ნუ თუ განძრახვა გაქვთ იმ კაცის დაჭერა. სჯობია თავი ანებოთ მაგისთანა განძრახვას.

ამაზედ ახალგაზრდა ვაჭარმა უპასუხა:

— როცა ვნახამ მაშინ გადასწყდება—დავიჭერ, თუ არა, ეხლა კი გთხოვ ის კაცი აქ მომიყვანო!

როცა ხურო, სეიხაჩი წავიდა სახლში, ცოტა არ იყოს მწარე ფიქრებმა წაიღეს—ვაი თუ იმ სულელის მიყვანიო, თუ მას არ მისცემენ ადგილს, სრულიათ დავკარგო ეს მუდმივი მყიდველიო. მაგრამ თავს იმითი ინუგეშებდა, რომ, მას არ შეეძლო იმ გადარეულის თხოვნა არ მოეხსენებინა ბუნზეიმონისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბუნზეიმონის მაღაზიის წინ რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა. ერთი მათგანი ხმაზედ იცნო კიდეც ბუნზეიმონმა. ეს იყო სეიხაჩი, რომელიც ხმა მაღლა ვიღასაც ელაპარაკებოდა. „ჩობეი-სენ! ნუ მიხვალთ წინა კარით; ცოტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენი ზრდილობა იხმარეთ, უკანა კარებიდან შედით. თქვენ თავს ტყუილათ იკატუნებთ—შეასრულეთ ჩემი თხოვნა, თორემ ჩვენს შორის უსიამოვნება ჩამოვარდება".

მოისმა მეორე ხმაც: „რაებს ლაპარაკობთ? ჩვენ ძაღლები ხომ არა ვართ, რომ უკანა კარებიდან ვიძუნძულოთ!—უცხო კაცმა სთქვა ესა და ხმა მაღლა იკითხა: შინ არის, თუ არა მაღაზიის პატრონი?

გაიგონა რა ეს ლაპარაკი, ბუნზეიმონი უკანა კარებიდან შევიდა თავის მაღაზიაში.

ამ კაცის უზრდელობით შეწუხებულმა სეიხაჩმა მოწიწებითა სთხოვა დიდებულ ვაჭარს:

— გეთაყვანებით აპატიეთ, აპატიეთ მაგ კაცს უზრდელობა. მე უფრო ვარ შეწუხებული ამისი ქცევით, მაგრამ რა ვქნა. გთხოვთ რომ აპატიოთ.

ბუნზეიმონმა სრულიათაც არაფერი ყურადღება მიაქცია ამ ბოდიშს და ხმა მაღლა დაიძახა: „მობრძანდით".

ახალგაზრდა კაცი ამაყათ შევიდა ოთახში, სეიხაჩი კი, წყალში დაჭერილი თევზივით სულ განაბული, უკან მიჰყვა. ბუნზეიმონმა შეიყვანა სტუმრები ერთს საუკეთესო ოთახში. სეიხაჩი სირცხვილით იწვოდა, რადგანაც ტანისამოსი და წაღები სულ მთლათ გაგანგლული ჰქონდა ტალახითა. რცხვენოდა და ბოდიშს იხდიდა: მეშინიან იატაკი არ გაგიტალახიანოთო.

ბუნზეიმონმა თითქო ყური მოიყრუა ამაზედ და თავაზიანათ უთხრა:

— მე ბუნზეიმონი გახლავარ კინოკუნიიდან; თქვენ რაღა გქვიანთ?

— მე მქვიან ჩობეი, ამაყათ უპასუხა ჭაბუკმა.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით.

სეიხაჩი გულმოდგინეთ ანიშნებდა ჩობეის—თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ნიშნებს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა სეიხაჩმა მიმართა ბუნზეიმონს:

— მე უმორჩილესათა გთხოვთ აპატიოთ, აპატიოთ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უზრდელი ქცევა. მგონი ეგ ჭკუაზედაც არ არის და ვნანობ, რომ აქ მოგიყვანეთ.

ამასობაში ბუნზეიმონი და ჩობეი ისხდნენ და თვალი თვალს გაეყარათ ერთმანეთისათვის. რამდენიმე ხანი, სიჩუმე ჩამოვარდა და სწორეთ ეს სიჩუმე იყო, რომ სეიხაიჩის აბრაზებდა. ამ უხერხულ მდგომარეობიდან რომ დაიხსნასთქვა:

— ჩობეი სენ! სჯობიან, რომ გამოვემშვიდოთ და წავიდეთ აქედან! მერე მიმართა ვაჭარს: ამ ამბების შემდეგ ხომ აღარ ინებებთ მის აყვანას?

ამაზედ ბუნზეიმონმა უპასუხა:

— დიახ, ავიყვან! მე გაძლევთ ჩემ სავაჭროში ადგილს, თუ ინებებთ!

— მაშ მიმსახურებთ, რაღა?—წამოიძახა ეს ჩობეიმ და დაჩოქილმა მის წინ თავი მოიხარა ნიშნათ პატივისცემისა და მადლობისა.

მაშინ ბუნზეიმონმა მიიღო ამაყი შეხედულობა და ჰკითხა მას:

— ჩობეი, იცით თუ არა აბაკუსზედ *) ანგირიში?

— ამის სიტყვას ვერ მოგცემთ, რადგანაც სამხედრო ოჯახში ვარ შეზდილი.

— მაშ თუ აგრეა—თქვენ ვერ გამოდგებით მსახურათ ჩვენ მაღაზიაში. იქნება სხვა რამეს გაკეთება შეგიძლიანთ?

— მე ვიცი ფული როგორ ვასარგებლო, უპასუხა ჩობეიმ.

— ეს ძალიან საყურადღებოა, სთქვა მაღაზიის პატრონმა.

---

*) ჩვენ საანგარიშო სჩოტს მიემსგავსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩობეი რომ წავიდა ამ ნალაპარაკევის გამგონმა ხურომა სთქვა:

— ნუთუ მართლა გინდათ მისი აყვანა! მადლობა ღმერთს —ეხლა გული საგულეში ჩამიდგა. მე ძალიანა ვშიშობდი, რომ მაგის გულისთვის თქვენ გული არ აგეცრუებინათ ჩემზე. ერთი ესეც მიბრძანეთ, პირველ შეხვედრაზევე თქვენ იმას რათ ეტცეოდით მაგრე თავაზიანათ!

— მე, როგორცა ვხედამ, არა გესმითრა, სიცილით უთხრა ბუნზეიმონმა. ვინემ მას ჩემთან დავაყენებდი, მანამდის იგი ჩემი სტუმარი იყო და როგორც სამხედრო წოდების ადამიანს, პატივით უნდა მოვქცეოდი. მაშინ კი, როდესაც იგი ჩემთან დადგა მოსამსახურეთ და მე ბატონათ გადავიქეცი, ჩემი და იმისი დამოკიდებულება შეიცვალა.

— დიახ, დიახ, ახლა კი მივხვდი, თქვა ხურომ. ეს მშვენიერი შეხედულობაა. ვთქვათ მეც რომ სადმე წავიდე დასადგომათ, ვინემ ადგილს მივიღებდე, შემიძლიან მედიდურათ დავიჭირო თავი.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ ეს კი გავიწყდებათ, რომ მაგისთანა ქცევით შეიძლება ცუდი შთაბეჭდილება მოახდინოთ და უადგილოთ დაგტოვონ.

ამ პასუხმა ძალიან ჩააფიქრა ხურო.

მეორე დღეს ახალმა მსახურმა მალაზიის პატრონსა სთხოვა ცოტაოდენი ფული და ამანაც მაშინათვე დააკმაყოფილა. მიიღო თუ არა ფული, იგი იმ წამსვე წავიდა სადღაც და სამხრობისასაც არ დაბრუნებულა.

მაშინ მოსამსახურეებმა დაუწყეს ახალგაზრდა ვაჭარს გაფთხილება და ეუბნებოდნენ: „რის მაქნისია ეს კაცი? ჩვენ ვერც კი გაგვიგია საიდან არის მოსული? სწორეთ რომ სახიფათოა ამისთანა კაცის სახლში შეშვება.

ბუნზეიმონმა ყურადღებაც არ მიაქცია მით გაფთხილებას, მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გამოუხატა მათ თავისი შეხედულება.

— აქ არაფერი საშიში არა არის რა! რა ჩვენი საქმეა იმის გაგება თუ ვინ სადაურია, ან სად დაბადებულა! მე ვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ, რომ იგი უჭკუო კაცი არ უნდა იყვეს და იმაშიაც ვარ დარწმუნებული, რომ ერთ დროს, იგი დიდს სარგებლობას მომიტანს მე. ვისაც საქმის რიგიანათ დაყენება უნდა, კარგი თანაშემწეებიც უნდა ჰყვანდეს: დიდებულ სარდალ იოშისუნის განკარგულებაში ოთხი ერთგული კაცი იყო და საშუალო საუკუნოების განთქმული უფროსის, შინგენის ხელ-ქვეით ოცდა რვა გენერალი; ასეთი კაცები მაგალითებათ უნდა მივიჩნიოთ ჩვენ. ძველათაც აგრე იყო: ყოველ შესანიშნავ კაცს გვერდში უნდა რამდენიმე ნიჭიერი თანაშემწე. ცხადზე-ცხადია, რომ, იმ მხნე კაცს, რომელსაც ბევრი ერთგული მოსამსახურეები ეყოლება, საქმე კარგათ წაუვა ვაჭრებიც სწორეთ ასე უნდა იქცეოდნენ. მოითმინეთ და ნახვითა ნახავთ. აბა თუ ჩობეიმ რაიმე შესანიშნავი საქმე არ მოიქმედოს!

საღამო ჟამს ჩობე ძალიან მოწყენილი სახით დაბრუნდა. ბუნზეიმონს სრულიათაც არ უკითხავს თუ სად იყო იგი და თვითონ ჩობეისაც არ უნდოდა კრინტი-ხმა დაეძრა ამის შესახებ. მეორე დღეს კიდევ წავიდა; რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ფული გამოართო ბუნზეიმონს, წავიდა სისხამ დილაზედ და დაბრუნდა შუაღამისას. ასე იქცეოდა ორი კვირის განმავლობაში. დანარჩენმა მოსამსახურეებმა კიდევ გააფთხილეს თავისი უფროსი, მაგრამ ეს ყურსაც არ ათხოვებდა. ერთხელ ჩობეი მივიდა ვაჭართან და უთხრა:

— ბატონო! თქვენ ხომ მრავალი ხე-ტყე მოგაქვს კიის პროვინციიდან და ცდილობთ ხოლმე მცხოვრებლებზედ ერთბაშათ გაყიდოთ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იედოში ძალიან ხშირათ იწვის ხოლმე სახლები და თუ თქვენ იაფობისას ბევრ ხე-ტყეს იყიდით და შეინახავთ, მაშინ უფრო დიდ სარგებლობასა ნახავთ. საწყობი ადგილის შოვნა ძალიან ძნელია, შუა ქალაქში რომ გავძართოთ. სახიფათოა, რადგანაც ცეცხლი ადვილათ გაანადგურებს მასალას, მდინარეებისა და ზღვის ახლოც არ ვარგა, მასალა ლპება, ან ჭია უჩნდება; მე საწყობი ადგილის საშოვნელათ დავდიოდი და როგორც იყო კიბაში მოვძებნე მაგისთანა ადგილი. აქაურ მდინარეებში შეგიძლიანთ ხეების შენახვა; შესანიშნავი თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებისანი არიან ეს მდინარეები: ჭიას არ იკარებენ და მასს-ლას გაამაგრებენ და გაამშვენიერებენ. ამის გარდა ცეცხლი-საგანაც უზრუნველ ყოფილი იქნება. მე იმედი მაქვს, მალე ხეების საწყობ შენობასაც ამართავთ ამ ადგილებში.

აღტაცებულმა ბუნზეიმონმა ტაში დაჰკრა და სთქვა:

— პატიოსნებას გეფიცებით, რომ ეს შესანიშნავი და გონივრული აზრია! მე ვხედავდი, რომ თქვენ რაღასაც ფა-ციფუცობდით, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ მაგისთანა მოხერხებულ ადგილს იშოვნიდით. წინეთ მაგისთა-ნა აზრი მეც მომსვლია, მაგრამ ვერ გამიხორციელებია, რა-განაც ბევრს საქმეში ვყოფილვარ გართული და ახლა კი თქვენ უნდა გიმადლოთ, რომ მაგისთანა კარგი ადგილი მო-გინახავთ.

მაშინათვე ვაჭარმა ჩობეის მიანდო საწყობის აშენება.

ჩობეი წავიდა ფუკაგავაში; იყიდა ათი ათასი ძუბო, ანუ ორმოცი ათასი ოთხ-კუთხიანი იარდი *) მიწა, ტაძარი სუსა-კის ახლო. იქ გამართა დიდი საწყობი და კიდგან ყოველი-ვე მასალა გადიტანა. ამის გარდა ჩობეიმ მიიღო ნებართვა კაცების აქეთ-იქით გაგზავნისა და იაფათ ხეების ყიდვისა. მასალა მრავალთ მრავალი შეაგროვა და სიხარულით ელოდა იმ დროს, როდესაც დიდი სარგებლით გაასაღებდა ამ აუარე-ბელ მასალას.

ალ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება)

*) იარდი—ინგლისური ზომა სიგრძისა, რომელიც უდრის ერთს ერთს ადლსა და ოთხნახევარ გოჯსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარიშხალი.

ს. სერაფიმოვიჩისა.

III

ამინელი პაპანაქება იდგა. გახურებული ჰაერი უძრავათ გადაჰკროდა ზღვის პირს, სადაც შორს, შორს სიღრმეში მოსჩანდა გადმობრუნებული გუმბათივით ცა. გაშავებული ნავი საბრალოთ, ობლათ გამოიყურებოდა თვალ უწვდენელ სივრცეში. ანდრო, წელ გაუმართავათ, ჰკრეფდა ბადიდან ბაბუასთან ერთათ თევზებს. მის სახეს ალმური ასდიოდა, პირი დაელო და ოფლის მსხვილ-მსხვილი წვეთები ღაპაღუპით ერთოდა წყალს. ნავი დამძიმდა გორასავით დაგროვილ თევზისაგან და წყალში ღრმათ იჯდა.

მას შემდეგ რაც ბაბუამ კარგათ შეახურა ბაწრით ანდრო, თავიდან ერთი მეორეზე უარესი აზრი არ ცილდებოდა. ჯერ თავისი ჯავრი ჭანარზე ამოიყარა, რადგან სულ იმისი ბრალი იყო ყველაფერი.

— მაშ, კარგი!—გაჯავრებული ფიქრობდა ანდრო,— შე გასიებულო ეშმაკო, კიდევ ჩამივარდები ხელში და აბა მაშინ ვნახავ როგორ გამექცევი, რომ ჩაგიყოფ ლაყუჩებში მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუჭს... აბა შენმა სიცოცხლემ, ერთ თითს ან ორს დაგაჯერებ... აბა ვნახოთ.. მაშინ...

მაგრამ ჭანარს გადაეწყვიტა შემდეგში ხელში არ ჩავარდნოდა მას, რადგან ერთხელაც ძლივს გადარჩა, ამიტომაც ანდროს ფიქრებმა სულ სხვა გვარი მიმართულება მიიღო.

— მართლა, რა ამბავია! შვილი ვარ იმისი თუ მოჯამაგირე, რომ ასე უმწეოთ მცემს? შეიშალა სწორეთ: ტანსაცმელსაც კი გაატანა ისე მცემა... ავდგები და გავექცევი, მორჩა და გათავდა... იყოს მერე თავისთვის... ღმერთმანი, წავალ ქალაქს, მუშათ დავდგები, ფულს ავიღებ. აბა ვნახოთ მაშინ უჩემოთ როგორ იცხოვრებს. მაგრამ ისე ადვილათ როდი მოვცილდები?! აბა მაგას ვფიქრობ სწორეთ?! ნაეს გაუხვრეტ ფსკერს.. მერე სუსტათ დავუცობ ჭინჭით და მე კი ჰაიდა! წამოვწვები ზღვის პირას გორაკზე და დაუწყებ ყურებას; აი გავა ზღვაში. წყალი ამოაგდებს ჩარჭობილ ჭინჭს და ნავი აივსება წყლით... შემდეგ წავა ძირს და დაიხრჩობა, აბა რა დაემართება?! როცა შეხედავს, რომ საქმე ცუდათაა, დაიყვირებს: - ანდრო ვიხრჩობი... მიშველე... მე კი მაშინ დაუყვირებ:—ააა! არ გახსოვს როგორა მცემდი ხოლმე? ტანსაცმელიც კი გამიხიე...

სიცხემ და დაღალულობამ თანდათან დააშოშმინა ანდრო და ბრაზმა გაუარა. ბაბუას არც კი ჰქონდა წარმოდგენილი თუ როგორი აზრები უტრიალებდა თავში ანდროს და დინჯათ ეწეოდა თამბაქოს. დღეს ბევრი თევზი დაიჭირეს და ამის გამო შეჭმუხნილი წარბები და მოხუშული სახე მხიარულათ გამოიყურებოდა. იმედი ჰქონდა, რომ საღამოსათვის ბადის გადასინჯვას მოასწრებდა და შინ დაბრუნდებოდა ღამით.

უცებ ანდროს მოესმა ბაბუას ხმა:

— ანდრო! ჩაუშვი ბადე და იალქანი გაშალე.

ანდრო არ უჯეროდა თავის სმენას: ჯერ კიდევ ნახევარი ბადე გადაუსინჯავი იყო და შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ მოხუცს არ უყვარდა ბრძანების გამეორება. ანდრომ შეასრულა ბაბუას ბრძანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეკეცე ქვეიდან იალქანი და ნახევრამდე ჩამოუშვი — უბრძანა ბაბუამ.

ანდრომ ფიცხლავ შეასრულა ბრძანება, მაგრამ ვერ ბედავდა ეკითხა ბაბუასთვის მიზეზი. მან იცოდა რომ იალქანს ქვეიდან მაშინ შეკეცდენ, როცა ზღვაზე გრიგალს მოელოდენ, რადგან ეს საუკეთესო საშუალება იყო გრიგალის შესასუსტებლათ. ირგვლივ კი იგივე პაპანაქება იდგა,—ჰაერი სასუნთქვათაც არ იყო; თვალ უწვდენელ სიმაღლეში ერთის მხრით და უძირო სიღრმეში მეორეს მხრით ისევ მოსჩანდა ორი ცა და მათ შუა კი გაუზომელი სივრცით ზღვის სწორი პირი.

— მოუჯექ ნიჩბებს.

ანდრო უხმოთ დაემორჩილა, ამოუჯდა ნიჩბებს და თან ოფლი წურწურით გადმოსდიოდა. ზევით, არც ისე მაღლა, მიცურავდა თეთრი, საოცრათ თეთრი, გვერდებ შეგლეჯილი ღრუბელი. ეს ღრუბელი არღვევდა მხოლოდ საერთო სურათს მყუდროებისას, იგი მიეჩქარებოდა ერთი კიდიდან მეორესაკენ. ბაბუა ხან ამ ღრუბელს შეხედავდა, ხან ცის კიდეს, რომელიც ლურჯ ფერ წყალს უერთდებოდა ჰორიზონტზე. იქიდან ხშირათ ჩნდებოდენ თეთრ-თეთრი, პატარ-პატარა ღრუბლები; ამოყოფდენ თავს და შემდეგ თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ისე ჩქარა გამოსწევდენ წინ.

ანდროს, დაქანცულს და ილაჯ გაწყვეტილს სიცხე და შრომისაგან, მოუთმენლობა მოერია. ცაზე, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინათ ისე მოწმენდილი იყო, რომ არსად კამარა ცის მეტი არაფერი არ სჩანდა, ახლა ნახევრათ თეთრი და ნახევრათ შავი ღრუბლები დაქროდენ. ბაბუა ახლა თითონ მოუჯდა ნიჩბებს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უსვამდა. მძიმეთ დატვირთული ნავი მიეშურებოდა იმ მხრისაკენ, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო ნაპირი.

იმ მხრიდან, სადაც ღრუბლები თითქოს იბადებოდენ, უთვალავ წყლის რგოლებმა გაითამაშეს; ისინი თანდათან იზრდებოდენ და უახლოვდებოდენ ნავს. იმავე წუთს ჰაერი შეინძრა, შეარყია იალქანი, ანდროს ზურგზე ზედა პერანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუბერა და გაექანა პირდაპირ წყლის პატარ-პატარა რგოლებთან ერთათ, რომელნიც მოშავე ფერს აძლევდენ ზღვის ანკარა წყალს.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ სიცხე, ზღვის ბრჭყვიალი და უმწეოთ ჩამოკიდებული იალქანი. ბაბუა უხმოთ ადგა, ასწია იქავე დაგდებული ხიფთანი (кафтанъ), ჩაიცვა, მაგრათ შეიკრა წელი, დაჯდა ისევ თავის ადგილას და მოჰკიდა საჭეს ხელი.

ზღვას ხან შავი ფერი გადაკრავდა, ხან ნათელი და შიგ გამალებულათ მიმავალ ღრუბლის ჩრდილი აშკარათ ირჩეოდა. ღრუბლები, აქამდი ნახევრათ თეთრნი და ნახევრათ შავხი, უცებ გაშავდენ ერთი თავიდან მეორე თავამდე: უცებ დაქროლა ქარმაც, გაბერა იალქანი და მძიმეთ დატვიოთული ნავი, რომელიც წყლისაგან გორაკებს აყენებდა, საოცარის სისწრაფით გაექანა წინ. ნავის უკან აქაფებული წყლის ზოლები რჩებოდა

ქარს, რომელიც თანდათან გრიგალათ იქცეოდა, აქამდის სრულიათ წყნარი ზღვის ერთბაშათ ამოძრავება არ შეეძლო, ზღვა მხოლოდ უფრო და უფრო ბნელდებოდა. მაგრამ მოხუცმა კარგათ იცოდა ზაფხულის ქარის ხასიათი: ჯერ ქარი შორიდან წამოვიდოდა, შემდეგ გამოექანებოდა და თან მოჰქონდა გორასავით ამართული ტალღები, რომელნიც დაუწყებდენ არ.ევას და ბრძოლას სრულიათ დაწყნარებულ ადგილს. ამიტომაც ბაბუამ, იმის მიუხედავათ რომ საშიშო იყო ნავი არ გადაებრუნებია სიჩქარის გამო, სრულათ გაშალა იალქანი, მიუშვირა ქარს, და ნავი ისარივით გაქანდა ნაპირისაკენ; ისე ჩქარა მიქროდა იგი, რომ ორივეს თვალები ცრემლებით აევსო და სიცივისაგან კანკალებდენ, ბოლოს, როგორც იყო გამოჩნდა წინ ნაპირი ლურჯათ, იგი თანდათან უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ზვირთები მართლაც გაჩნდენ. ისინი უზარმაზარი მთებივით, თავიანთი მოძრავი თეთრი თავებით მოსდევდენ ნავს, და გარშემო ნამდვილი ჯოჯოხეთი დადგა. ნავმა ჩარგო წყალში ცხვირი; ტალღები ერთი მეორეზე უდიდესი და უსაშინელესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორბოდენ მისკენ და სისინით, ხმაურობით განუწყვეტლათ და დაულალავათ ეჯახებოდენ. ბაწრები, როგორც ძაფი ისე დაიჭიმენ, იალქანი უმწეოთ ფართხალობდა და გამხეცებული ტალღები წამდა-უწუმ აშხურებდენ მარილიან წყალს. ირგლივ ისეთი საშინელი ხმაურობა იდგა, რომ ცამდისაც კი უწევდა; ზევით ღრუბლები ერთი მეორეს მისდევდენ, ქვევით ტალღები გორასავით აიმართებოდენ, აიწევდენ სულ ზევით, ზევით, რომ შემდეგ ისევ დაბლა დაქანებულიყვენ და საოცარი სისწრაფით ისევ მეორე ტალღაში შეერთებულიყვენ.

ანდროს მაგრა მოეკიდა ხელები ანძისათვის და უყურებდა როგორ აცმაცურებდა ბაბუა ტუჩებს, მაგრამ ხმა არ ესმოდა. იგი შიშით შეჰყურებდა ზღვას, რომელიც აუარებელ ტალღებს გზავნიდა მათი ობოლი ნავისაკენ. ნავიც ხან სრულიათ გადაწვებოდა გვერდზე, ისე რომ იალქანი წყალში სველდებოდა, ხან ისევ გაიმართებოდა და ტალღას კენწეროში მოექცეოდა. მაშინ ანდრო ცოტა ხნით თვალს მოჰკრავდა ქაფისაგან გათეთრებულ ნაპირს, ძეწნას...

ანდროს არ აშინებდა გრიგალი, იგი შეჩვეული იყო ზღვის ღელვას, მაგრამ თავს მაინც უხერხულათ გრძნობდა. მას ისეთი რწმენა ჰქონდა ბაბუასადმი, რომ შიშზე, განსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელზე არც კი ფიქრობდა, თუმცა ნავი ნახევრამდე უკვე წყლით სავსე, უფრო და უფრო მძიმდებოდა. ანდროს რაც შეეძლო, ძალღონეს არ აკლებდა, რომ წყალი გადაეღვარა ნავიდან, მაგრამ აბა რას გააწყობდა.

მოხუცი იჯდა ნავის ქიმზე და იალქანს ხან დაუშვებდა, ხან ისევ გახსნიდა, ხან საჭეს მართავდა. მოხუცის დანაღვლიანებული, დასველებული წყლისაგან სახე ხატავდა, რომ ბაბუა რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს ანიშნა მან ანდროს; ისიც დიდის ვაივაგლახით მიუახლოვდა ბაბუას და მან მაღალის ხმით ჩასძახა ყურში:

— გადაყარე თევზები წყალში!

ანდრო ფართეთ დაღებული თვალებით შეყურებდა მოხუცს, მაგრამ როცა მან მუჯლუგუნი ჰკრა, მაშინ ანდროც შეუდგა ბრძანების ასრულებას. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ საქმე ცუდათ იყო და შიშის ზარმა აიტანა. ერთი ხელი ნავისათვის მოეკიდა და მეორეთი კი ერთი-მეორეზე წყალში უშვებდა ჯერ კიდევ ცოცხალ თევზებს და თან სტიროდა მწარე ცრემლებით.

— ი..ი..ი, ვიხრჩვებით.. ვიხრჩვებით! ი .ი... მაგრამ იმისი ხმა ქარის ღრიალს უერთდებოდა და ღმუილის მსგავსად გაექანებოდა შუაგულ ზღვისაკენ. ანდრომ, როგორც იყო, ყველა თევზები გადაყარა ზღვაში... ნავს მოძრაობა გაუადვილდა.. ნაპირი თანდათან ახლოვდებოდა... ანდრო ასხამდა ნავიდან წყალს და თან ლოცულობდა. იგი ეეედრებოდა იმ თეთრ თმიან მოხუც თავს, რომელიც გამოსახული იყო გახუნებულ, ფერწასულ ხატზე და რომლის წინაც ბაბუა სანთელს ანთებდა ხოლმე. მაგრამ ეს არ შველოდა, გარშემო ყველაფერი უწინდებური იყო: უზარმაზარი წყლის ტალღები, ხმაურობა და შავი ღრუბლები ცაზე.

უცებ დაქროლა ძლიერმა ქარმა, იალქანი დაიჭიმა, გადისროლა ნავი გვერდით და თითქმის ნახევრამდე წყლით აივსო. ანდრო თავიდან ფეხებამდე დასველებული, ორივე ხელებით ანძას მოეხვეოდა და თან ძალზე ყლაპავდა ზღვის წყალს. მოხუცს ფერი ეცვალა და რაც ძალი და ღონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა დააწვა ნავის აწეულ კიდეს; იგი ისევ გასწორდა, მაგრამ წინ ძლივს მიიწევდა რადგან, ნახევარზე კიდევ მეტი, წყლით სავსე იყო. ანდრო დახრჩობას მოელოდა ყოველ წუთს. მას ეშინოდა და ბაბუასთან მიხოხდა.

— ბაბუა, მეშინია...

ბაბუა ადგა დასველებული, ფერმიხდილი სახით, დასვა თავის ადგილზე ანდრო, მისცა ხელში ბაწრის თავი და საჭე.

— ძეწნას დაუპირდაპირე... გესმის!

მოხუცმა დაუყვირა ეს სიტყვები რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ანდრომ მაინც ვერაფერი გაიგონა ხმაურობის გამო. იგი მხოლოდ ხედავდა, რომ ბაბუამ მოიხადა ქუდი, გაიძრო ფეხსაცმელი, გადაისახა პირჯვარი და გადახტა წყალში. ნავი ცოტათი შემსუბუქდა და სწრაფათ გასწია ნაპირისაკენ. ირგვლივ მთელ ზღვას გადაეფარა, როგორც ქარბუქის დროს თოვლი, თეთრი ქაფი. ნაპირი თანდათან ახლოვდებოდა და ანდროს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; იგი გრძნობდა, რომ მალე გავა სამშვიდობოს.

საჭეს თავი იღლიაში ამოიდო, ბაწარი მაგრა შემოიხვია ხელზე და მიიხედა ბაბუასაკენ. შორს ტალღებში მოსჩანდა იმისი თავი; იგი ხან სრულიათ დაიმალებოდა, ხან გამოჩნდებოდა ტალღებთან ერთათ. ანდროს წარმოდგენით, ბაბუა იყო ძლიერი, ყველაფრის შემძლე და ყველაფრის მჯობნი, ახლა კი, როცა დაინახა თუ როგორ ათამაშებდა ტალღები მას ბურთივით, გაოცდა. ბოლოს ანდრომ ველარ მოითმინა და გულშემზარავი ბავშის ხმით დაიყვირა:

— ბაბუ-უ..! ბა-ა-ბუ-უა!

იგი ულაპავდა ცრემლებს, რომელიც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მძიმეთ დააწვა საჭეს. ნავი უცებ შეინძრა, წრე შემოავლა და შემდეგ თითქოს ცოტა ხანს ჩაფიქრდაო, დადგა ქარის პირდაპირ. იალქანი შესუსტდა და სუსტათ ინძრეოდა აქეთ-იქით. ანდრომ ტირილით საჭეს სრულიათ თავი მიანება. ნავი უცებ მოტრიალდა, იალქანი გაიბერა მოპირდაპირე ქარისაგან, შენდეგ თითქოს შეკრთა და გაექანა ნაპირიდან ისევ უკან, ზღვისაკენ. იგი მიქროდა იქითკენ, სადაც ხან გამოჩნდებოდა, ხან ჩაიმალებოდა მოხუცის თავი. ჰაერში მხოლოდ ანდროს გულშემზარავი ყვირილიღა გაისმოდა.

შოთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფინიკის პალმა.

მას წინად ავსწერეთ კოკოსის პალმა და მისი ნაყოფი. არის კიდევ სხვა გვარი პალმაც, რომელიც თავის შეხედულობით ძალიანა ჰგავს კოკოსის პალმას: იმისთანავე მაღალის ტანისა, ისე უშტოო და ისე გრძელ-გრძელ ფოთლებიანი; იმასაც გრძელი ფოთლები კენწეროში გადაუშლია ვეებერთელა გინგლიანი ფრთებივითა. მაგრამ ნაყოფი კი სულ სხვანაირია ამ ხისა. იგი ქლიავის ოდენაა, წვენიანი, ტკბილი და ნედლათ სასიამოვნო საჭმელი, გამაგრილებელი. ხმელ ხილად იგი ბევრჯელ გვინახავს და გვიჭამია კიდეც. მას ეძახიან ფინიკს, ჩვენ კი, ქართველები, ინდის ხურმას ვეძახით. სიმაღლით ფინიკის პალმა თერთმეტ საჟენზე მეტი იზრდება, თითქმის სრულიად სწორია და ერთნაირად მსხვილი თავიდან ბოლომდის. ფოთლები სიგრძით ერთი საჟენი იქნება. თითონ ნაყოფი, ესე იგი, ინდის ხურმა, ყურძნის მტევნებსავით დაკიდებულია კენწეროში, ფოთლებს ქვეშ. ნედლი ინდის ხურმა ქარვასავით ჰბზინავს და მშვენიერი სუნი აქვს. ხის ტანი ხორკლებიანია. ხორკლები ნაშთია ფოთლების ყერწებისა, რომელიც მოიცვალა ხემ, და ძალიან ჰშველის ადამიანს, როდესაც იგი ადის ხეზე ნაყოფის მოსაკრეფად; ამ დროს ხორკლებზე იმაგრებს ფეხს და უადვილდება მაღლა აცოცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული ფინიკის პალმა იძლევა წელიწადში ორას-სამას გირვანქა ინდის ხურმას. საქართველოში ინდის ხურმა მოაქვსთ შორი ქვეყნებიდან გამხმარი და ჰხმაროობენ ხმელ ხილად. ხმელი ინდის ხურმაც ტკბილია და სასიამოვნო საჭმე-



ინდის ხურმის კრეფა.

ლი, მაგრამ იმდენათვე ტკბილი და სუნნელოვანი როდილა არის, როგორც თავის სამშობლოში იყო ნედლად. იმ ქვეყნებში, სადაც მოდის ფინიკი, მარტო ხილად კი არ ჰხმაროობენ მას,—არა, იქ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში ხილს: იქ ახმობენ ხოლმე მას, კურკებს ამოაცლიან, დასცეხვენ, აურევენ ფქვილში და პურს აცხობენ, რომელიც ძალიან სასიამოვნო საჭმელია და მარგებელიც.

ფინიკის პალმას უყვარს ცხელი და ხმელი ჰავა. იმისთანა გაშლილ და ცხელ ქვიშიან ადგილებზე ჰხარობს, სადაც არც ერთს მცენარეს არ შეუძლია გაძლება; ფინიკის პალმას კი არა უშავს იქ, საჭიროა მხოლოდ სულ პატარა რუ მაინც მოწანწკარებდეს მის ფესვების მახლობლად, ახალშენი ხე იძლევა ნაყოფს მეოთხე-მეხუთე წელიწადს. საზოგადოდ ფინიკის პალმას შეუძლია გასძლოს ორას ორმოცდა ათ წლამდის, მაგრამ ბაღებში, სადაც ადამიანის ხელით არის ნაშენი, ოთხმოცის წლისაზე უფრო ხნიერს შეჰხვდება ადამიანი. როდესაც ეს ხე სიბერეში შევა და კარგს მოსავალს აღარ იძლევა მაშინ მას სხვა გზით გამოიყენებენ ხოლმე: გაზაფხულობით დასერავენ ხის ტანს და იქიდან ადენენ წვენს, რომელსაც ჰქვია „ლაგმი“. ლაგმი ჰგავს ფერად და გემოთი კოკოსის რძეს. ლაგმს ძალიან ბევრსა ჰხმარობენ საჭმელად, განსაკუთრებით ბავშებისათვის. ეს თეთრი წვენი, ერთს დღესა და ღამეს რომ მოათევს, მაშინ მჟავდება და აყენებენ ღვინოთ, რომელიც სასიამოვნო სასმელია. ფინიკისაგან, ანუ ინდის ხურმისაგან, ჰხდიან აგრეთვე არაყს, რომელიც ძალიან გავრცელებულია ფინიკის ხის სამშობლოში. ხე შენობისთვისაც გამოსადეგია და შეშადაც. როგორც შეშა საუცხოო რამეა, რადგან ნელ ნელა იწვის და დიდ სითბოს იძლევა. თითონ ხურმის კურკებიც გამოსადეგია სახლის გასათბობად, თუმცა თავდაპირველად ისე ადვილად არ მოეკიდება ცეცხლი. ამას გარდა, კურკებით იკვებება ერთი შინაური ცხოველი, ურომლოთაც ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია ცხელ ქვეყნებში, სადაც უდაბნოებია. ეს ცხოველია აქლემი, რომელსაც უწოდებენ „უდაბნოის გემს“. აქლემების წყალობითა აქვსთ ოაზებს ერთმანერთში მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა, როგორც ერთმანერთთან, ისე გარეშე ხალხებთანაც. ინდის ხურმის კურკებს დაღერღავენ ხოლმე, დაალბობენ და ჰკვებამენ მით აქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლემებს, თხებს და ცხვრებს; ასე გაშინჯეთ, ძაღლებსაც აჭმევენ ამგვარად დამზადებულს კურკას.

ფინიკის პალმა, ანუ ინდის ხურმის ხე, ძალიან ვარგობს ჩრდილოეთ აფრიკაში ატლანტიკის ოკეანიდან დაწყებული ნილოსის მდინარემდის. მრავალი ოაზი, რომელიც მდებარებს ამ სივრცეზე, შესანიშნავია ფინიკის ხეებით. სამოც ნაირ ფინიკის პალმას ასახელებენ ჩრდილოეთ აფრიკაში, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთში მათის ნაყოფის მოყვანილობით, ფერით და თვისებით. დიდს შრომას ახმარებენ ხოლმე იქაური მცხოვრებლები ამ მცენარის მოვლას, განსაკუთრებით ბერბერები. ბერბერებისა და ნილოსის ნაპირა ადგილების მცხოვრებთათვის (ფელლახებისათვის) დაუფასებელი რამ არის ფინიკი, როგორც მათი მასაზრდოებელი. ამას გარდა აღებ-მიცემობაშიაც შესამჩნევი ალაგი უჭირავს მას, რადგან იგი ბევრი იგზავნება იქიდან სხვა და სხვა ქვეყნებში. ფინიკის პალმას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აზიის იმ კუთხისათვის, რომელსაც არაბეთი ჰქვია. აქაც კარგად ჰხარობს ფინიკის პალმა და ზოგიერთ ადგილებში ხალხისთვის იგი ერთად-ერთი საზრდოა: ნედლს ფინიკს ჰხმარობენ ხილად, ხმელს პურად და ‘ისგანვე ამზადებენ ღვინოსაც, რომელიც ძალიან უყვართ არაბებს.

ალექსი ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ვარდენ ეიფეანისაგან)

ვაშა მგოსანო, შენს კალამს,
აჟღერებ მარტო მთაშია,
ეინს იკლავ და მუდამ-ჟამს ხარ
ამნაირ განცხრომაშია,
ფშავ-ხევსურ მთისა ამბავი
შენ უფრო იცი სხვაზედა,
ალაპარაკე მის ენით
ვარამი ცხოვრებაზედა.
ენა მეტყველო მთიულო!
ლექსები შენ გემონება,
ამდენი სწერე, რომ ყველას
აღგვიფრთოვანე გონება.

ა მ ო ც ა ნ ა.



1) ამ ოცი ჩხირიდან გამოყვანილია აქ ხუთი ოთხ-კუთხი—გამოუცვალეთ სამ ჩხირს ადგილი ისე, რომ გამოვიდეს ორი ოთხ-კუთხი და სამი ზომა ერთი სიგრძე-სიგანისა.

2) ამ ხუთი ოთხ-კუთხიდან, ხოლო სამი ჩხირის ადგილების გამოცვლით, გამოიყვანეთ შვიდი ოთხ-კუთხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ოფვულ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ეღირებოდ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის ეაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავადაზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Открыта подписка на 1909 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
за годъ	6 р. — к.	за годъ	8 р. — к.
за полгода	3 р. 50 к.	за полгода	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныѣ №—5 коп. Заграницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель *Г. І. Амираджиби.*

მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის

ჯეჯილზე